პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 130 (19871) შაბათი, 6 ივნისი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.



დირექტორი აირჩიეს და ა...

ხულ ახლახან 47 წლის ინჟინერი რუდოლფ ნიკოლოზის ძე რაქვიაშვილი თბილისის ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანება „გლდანის“ გენერალური დირექტორი გახდა.

იგი ძველებურად „ზემოდან“ არ დაუნიშნავთ — აირჩიეს მისი კოლეგების, ინჟინრების, ტექნოლოგების, ფეიქრებისა და მქსოველების, ყველა იმათი ხმის უმრავლესობით, ვინც მასთან ერთად მუშაობს.

რ. რაქვიაშვილმა ძნელ ბრძოლაში გაიმარჯვა. მას პირში ეუბნებოდნენ, რა მოსწონთ მისი, ეუბნებოდნენ იმასაც, რაზე უნდა მიეპყრო ყურადღება. საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა 1963 წელს ოსტატის თანაშემწედ დაიწყო მუშაობა თბილისის წინდის ფაბრიკაში, შემდეგ კი სათაავეში ჩუდგა უბანს, ხუთი წლის შემდეგ გადაიყვანეს მცხეთის ტრიკოტაჟის ფაბრიკაში, სადაც მუშაობდა ტექნოლოგად, სამკერვალო საამქროს უფროსად, მთავარ ინჟინრად, დირექტორად.

1980 წლის ოქტომბრიდან გაერთიანება „გლდანის“ მთავარი ინჟინერია. მთელი მისი შრომითი ბიოგრაფია მოწმობს საწარმოო პრობლემების ოპტიმალური გადაჭრის გზების მუდმივ ძიებას. მარტო „გლდანის“ მთავარ ინჟინრად მუშაობის დროს რ. რაქვიაშვილმა ათი რაციონალიზატორული წინადადება შეიტანა, რომელთა დანერგვით საწარმომ 50 ათას მანეთზე მეტი დაზოგა. იგი ხელმძღვანელობდა კომპლექსურ სამეცნიერო-საწარმოო ბრიგადას, რომლის საქმიანობამ ნარჩენების შემცირებისა და მათი გამოყენებისათვის ფართო მოწონება დაიმსახურა.

რით დაიწყო „გლდანის“ ახალმა გენერალურმა დირექტორმა? უწინარეს ყოვლისა პროდუქციის ხარისხზე ზრუნ-

ვით. გაერთიანების ტრიკოტაჟის ნაწარმის 60 პროცენტი ხომ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ იგზავნება და თითოეული რეკლამაცია და წუნი საგანგებო შემოხვევაა.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დამზადებული ერვსი ქსელსაქსოვი მანქანა „კოკეტი“ დადგა საწარმოში დირექტორმა. სხვა დიდმწარმოებლურ ტექნიკასთან ერთად ეს მანქანები ხელს შეუწყობს იმას, რომ უკვე მიმდინარე წელს განსაკუთრებით მოდური ნაწარმისა და „ს“ ინდექსიანი ნაწარმის მოცულობა 15 მილიონ მანეთამდე გაიზრდება.

დამაიმედებელია მეტრიკოტაჟეთა მუშაობის შედეგები, რომლებიც ახალი წლიდან თვითდაფინანსებაზე გადავიდნენ. მაგრამ გენერალურ დირექტორს უამრავი საზრუნავი აქვს.

ა. ვიგნანსკი,
საქინფორმის კორ.

სურათებზე: თბილისის ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანება „გლდანის“ გენერალური დირექტორი რუდოლფ რაქვიაშვილი; სამკერვალო საამქროში; ახალი მოდელები, რომლებიც უთუოდ მოეწონებათ მომხმარებლებს.

გ. ცაგარელის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მეჩაიეთა დიდი გამოცდა

რაის პლანტაციებში დაძაბული მდგომარეობაა. გაზაფხულის ჭირვეულმა ამინდებმა სერიოზული სიძნელეები შეუქმნა რესპუბლიკის მეჩაიეებს. წლეულს დაუცხრომელმა სტიქიამ შარშანდელს გადაჭარბა (დიდი ზარალი მიაყენა სახალხო მეურნეობას), ერთ თვეზე მეტით დაგვიანდა ჩაის ფოთლის კრეფის სეზონის დაწყება. აპრილის ბოლო რიცხვების მკვეთრმა აცივებამ და ჭირხლმა, ხოლო მაისის სამივე დეკადის გვალვებმა, დღის მაღალმა — 30-35 გრადუსმა ტემპერატურამ და ღამით მკვეთრმა დაქვეითებამ მოლიანად შეაჩერა ბუჩქის ვეგეტაცია და წამოსული 2-3 ფოთლიანი ზრდადმთავრებული დუყები მასობრივად გადაყარუდაგა, რამაც მაისში დაახლოებით 50-60 ათასი ტონით შეამცირა ჩაის ფოთლის მოსავალი.

პლანტაციების ყრუ დუყებისგან განმენდისა და შემდგომი ახალი ვეგეტაციის დასაჩქარებლად ყველაზე ადრე ფოთლის შერჩევის კრეფას 18 მაისიდან შეუდგნენ ზუგდიდის რაიონის მეჩაიეები, რომლებსაც 5 ივნისისათვის 5.953,7 ტონა ნედლეული ჰქონდათ დამზადებული. ასევე, ბუჩქების შერჩევით კრეფას და ყრუ დუყებისგან განმენდას შეუდგნენ გალის, ჩხოროწყუს, ხელვაჩაურის, ხობის, წულუკიძის, გეგეჭკორის და სხვა რაიონების სახოგადოებრივი მეურნეობები. 5 ივნისის მდგომარეობით რესპუბლიკაში მხოლოდ 33.014,8 ტონა ნედლეულია მოკრეფილი, რაც 50.740 ტონით ჩამორჩება შარშანდელი შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს. მართალია, კრეფის ტემპი ყოველდღიურად მატულობს, მაგრამ ამინდი კვლავ ჭირვეულობს.

რა ღონისძიებები უნდა განხორციელდეს იმისათვის, რომ ჩამორჩენას მაღე დავაღწიოთ თავი?

სადღეისოდ მეჩაიეობაში შექმნილი მეტად რთული მდგომარეობა სუბტროპიკული ზონის მეურნეობათა ხელმძღვანელობისა და სპეციალისტებისაგან დიდ ძალისხმევას, დაძაბულ მუშაობას, მთელი შრომითი რესურსების მობილიზებას, განსაკუთრებით ნედლეულის კრეფის სანიმუშო ორგანიზაციას, პლანტაციებში დამატებითი ღონისძიებების განხორციელებას მოითხოვს. არც ის უნდა დავგვიწყდეს, რომ გვალვების საწინააღმდეგოდ ნიადაგში ტენის შენარჩუნების მიზნით რიგთშორის რეგულარული კულტივაცია და თოხნა არის საჭირო. ბუჩქები სარეველებისგან ასევე უნდა გაწმენდილი იყოს, ხოლო სარწყავი სისტემა ნესრიგში მოყვანილი.

მთავარი ახლა, რასაც მთელი გულისყური უნდა მივაპყრათ, პლანტაციებში დამატებითი სასუქების შეტანაა. მესამეკერ აზოტიანი სასუქების შეტანა მოსავლიანობას გაზრდის და მაშინ ბუჩქებიც უხვად აანაზღაურებს მეჩაიის გარჯას. დამზადებული ნედლეული შეუფერხებლად უნდა გაიგზავნოს ფაბრიკებში, რათა აღიკვეთოს დანაკარგები და ხარისხის გაუარესების შემთხვევები. თავის მხრივ, ჩაის ფაბრიკებმა არ უნდა დააყოვნონ ნედლეულის დროული მიღება-გადამუშავება, განსაკუთრებით პიკის პერიოდში.

ჩაის ფოთლის საფენი ბრეზენტები წლეულს დიდი რაოდენობით არის მომარაგებული. თუ შარშან 6 ათასი ცალი იყო შემოზიდული, წლეულს 8 ათასი ცალი შემოიტანეს. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით მეჩაიეთა სპეციალისტებზე. საქმე ის გახლავთ, რომ ვერ იქნა და დღემდე ვერ მოაგვარეს სპეციალისტმცოდნეთა წარმოება მისმა დამამზადებლებმა — რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობისა და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროების საკერვალო ფაბრიკებმა. მათი „ნახელავი“ არასტანდარტული და მეჩაიეებისათვის გამოუსადეგარია. ამას ისიც მეტყველებს, რომ საქოფლმომარაგების რაიონულ განყოფილებებში შარშანდელი ნაშთი ჩაწოლილია — სულ 13 ათასი კომპლექტი. როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია, საქმის დაუყოვნებლივ გამოსწორება კი აუცილებელია.

მეჩაიეებს აქვთ გამოუყენებელი რეზერვები, შესაძლებლობანი, რათა დარგი გაიყვანონ ახალ მოწინავე მიჯნებზე. ერთ-ერთი ასეთი რეზერვია მობილური და ხელის საკრეფი აპარატების სათადარიგო ნაწილები, რომლებიც წინათ არ ჰყოფნიდათ. ძრავების უხარისხობის გამო ჯერ კიდევ დაბალია მექანიზაციის დონე. შარშან, მაგალითად, ორივე სახის მანქანებით (მობილური და ხელის საკრეფი) ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა მხოლოდ 62 პროცენტით შესრულდა. წლეულსაც იგივე მდგომარეობა იქნება, თუ მეჩაიე-მექანიზატორებს არ მივაწოდეთ სრულფასოვანი მანქანები და მათი სათადარიგო ნაწილები.

როგორც სოხუმში ამას წინათ გამართულ მეჩაიეთა რესპუბლიკურ თათბირზე აღინიშნა, ნედლეულისა და მისი გადამუშავების შესაძლებლობებს შორის კვლავინდებურად დისპროპორციაა, სახაგრომრეწეს, კერძოდ, აქვს შესაძლებლობა უკვე უახლოეს ხანში აღმოუფხვრას დისბალანსი ნედლეულსა და მის გადამუშავებას შორის. არის პირველი გარკვეული ნაბიჯებიც: დარგის საწარმოებში გაიზარდა სარეკონსტრუქციო და ტექნიკური განახლების სამუშაოთა მოცულობა. ფართო მასშტაბით ინერგება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევები. კერძოდ, ზუგდიდის № 1, ჭუბურხინჯის, უშაფათის ჩაის ფაბრიკებში, აჩიგვარის აგროსამრეწველო კომბინატსა და ხიდის ჩაის მიკროფაბრიკაში დიდი მოცულობის სარეკონსტრუქციო სამუშაოები შესრულდა. 15 ფაბრიკიდან წლეულს 6 ფაბრიკის საგრეხ საამქროებში ინერგება ჩაის წარმოების პროცესების მართვის ავტომატიზებული სისტემები. 15 საწარმოში დაინერგა ჩაის სახმობი მანქანების დატვირთვა-გადმოტვირთვის მექანიზებული ხაზები. ბარღების ჩაის ფაბრიკაში ტექნიკური განახლების ბაზაზე მოეწყო კლონი „კოლხეთის“ ჩაის ფოთლის გადასამუშავებელი სპეციალური უბანი.

მთლიანად დარგის მასშტაბით ახლით შეიცვალა მორალურად და ფიზიკურად გაცვეთილი 100-მდე საგრეხი როლერი, 50 მოგრეხილი ჩაის ფოთლის დასახარისხებელი მანქანა, 20 სახმობი ღუმელი და 10 სადნობი აგრეგატი. ნარუჯის ჩაის აგროსამრეწველო კომბინატში მიმდინარეობს და მალე დამთავრდება მრეწველობაში პირველი ჩაის ნახევარფაბრიკატის წარმოების ტექნოლოგიური პროცესების მართვის ავტომატიზებული სისტემის დანერგვის სამუშაოები.

გარდაქმნისა და დაჩქარების მოთხოვნის ფონზე დარგის საინჟინრო-ტექნიკური სამსახურების ახლებური მუშაობის მაგალითია ის, რომ პრინციპულად შეიცვალა მიდგომა მინაშენი ორკორპუსიანი ფაბრიკების რეკონსტრუქცია-ტექნიკური განახლებისადმი. აღნიშნული ტიპის ობიექტების რეკონსტრუქცია მიმდინარე წლიდან მოყოლებული ისეთნაირად ხორციელდება, რომ ლიკვიდირებული იქნება დღემდე პარალელურად არსებული, ერთი და იგივე დანიშნულების საწარმოს უბნები და საამქროები. რაც ხელს უშლიდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა და ბრიგადული იჯარის კომპლექსურ, მაღალეფექტიან დანერგვას, აფერხებდა საწარმოთა სამეურნეო ანგარიშზე გადასვლას.

ამ დღეებში რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო აქტივის თათბირზე ი. ლეგაჩოვმა თქვა: „...დღესდღეობით ამის გამო რესპუბლიკის ჩაის პლანტაციების საერთო ფართობის 45 პროცენტი (30 ათასი ჰექტარი) ამორტიზებულია, ანუ თავისი დრო მოჭამა. ჩაის ახალი პლანტაციების გაშენების დაგეგმვები კი მეთერთმეტე ხუთწლეულში მხოლოდ 27 პროცენტით შესრულდა“. ამასთან მან გარკვევით თქვა თუ რა არის საჭირო, რა უნდა გააკეთონ საქართველოს მეჩაიეებმა, რომ კვლავ დიდ წარმატებებს მიაღწიონ: „თითოეულმა, ვინც დაკავშირებულია თვით რესპუბლიკაში ქართული ჩაის ბედთან, ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რათა აღადგინოს დარგის ავტორიტეტი, მიაღწევინოს მას ახალი, უფრო მაღალი მაჩვენებლები, როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი“. ამ ნათქვამში დიდი შინაარსია ჩაქსოვილი, რომელსაც აქედანვე დიდი ყურადღებით უნდა მოეკიდონ მეჩაიეები და ჩაის მრეწველობის მუშაკები, სარეფერული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელები.

ჩაისათვის ლაშქრობაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური შეჯიბრების ქმედითუნარიანობას. იქ, სადაც სოციალისტური შეჯიბრება ფორმალურ ხასიათს არ ატარებს, საქმეც წინ მიდის. პარტიულმა ორგანიზაციებმა ყველაფერი უნდა იღონონ იმისათვის, რომ მეჩაიეთა შორის ახალი ძალით გაიშალოს სოციალისტური შეჯიბრება. არ უნდა დავგვიწყდეს აგრეთვე მეჩაიეთა საოჯახოურეობრივი პირობებისათვის ზრუნვა, გამგრილებელი ნყალებით, ცხელი კერძებით მათი უზრუნველყოფა. ამ მხრივ ჯერ კიდევ გასაკეთებელი ბევრია.

ძვირფასო მეჩაიეებო, ახლა, უამინდობის ძნელ პირობებში, გეშალოთ მეტი სიბეჯითე, შემართება, მინდობილი საქმისადმი დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა. ეკრიფოთ ჩაი შემოსვლისთანავე, არ გავაუხეშოთ არც ერთი დუყი, ვებრძოლოთ დანაკარგებს, უხარისხობას. ვიყოთ მოწოდების სიმაღლეზე, ყველაფერი ვიღონოთ იმისათვის, რომ დიდი ოქტომბრის დღესასწაულს ახალი შრომითი გამარჯვებებით შეეხვედეთ. ამას მოითხოვს დღევანდელობა, გარდაქმნისა და დაჩქარების სტრატეგია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 4 ივნისს გამართულ სხდომაზე განიხილა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის 28-29 მაისს ბერლინში გამართული მორიგი თათბირის შედეგები.

პოლიტბიურომ მოიწონა მუშაობა, რომელიც ამ თათბირზე გასწია საბჭოთა დელეგაციამ მ. ს. გორბაჩოვის მეთაურობით. მაღალი შეფასება მისცეს და მხარი დაუჭირეს დოკუმენტს ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების სამხედრო დოქტრინის შესახებ, რომელიც მკაფიოდ გამოხატავს სოციალიზმის სამხედრო სტრატეგიის თავდაცვითის ხასიათს, ემსახურება ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციისა და ნატოს დიალოგის განვითარებას, ევროპაში ნდობის განმტკიცებას.

ბერლინში კვლავ გამოვლინდა, რომ მომძე ქვეყნები ერთნაირად უდგებიან საერთაშორისო მოვლენებსა და ამოცანებს, რომლებიც ერთობლივად უნდა გადაწყვეტონ. აღნიშნა რა საერთაშორისო ურთიერთობის ატმოსფეროში პოზიტიური ცვლილებები, რომლებიც დიდად აინის დაკავშირებული სოციალისტური სახელმწიფოების ინიციატივებთან, პოლიტბიურომ განაცხადა, რომ დასავლეთი გაუმართლებლად აჭიანურებს პასუხს ამ ინიციატივებზე, რომელთა მიზანია ევროპის ხალხების საერბოროტო პრობლემების გადაჭრა. მათ შორის პირველ ადგილზეა ის, რომ საჭიროა ევროპაში საშუალო და ოპერატიულ-ტაქტიკური ბირთვული რაკეტების ლიკვიდაცია, მოულოდნელი თავდასხმის რისკის შეზღუდვა. ხაზგასმით აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის მიერ დასახულ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია საგარეოპოლიტიკური თანამშრომლობის, ორმხრივი ინფორმაციის, კონსულტაციებისა და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა თანამოქმედების სხვა ფორმების მექანიზმის სრულყოფა.

მოიწონეს მორიგებანი, რომლებიც მიღწეულია ბერლინში 28 მაისს მ. ს. გორბაჩოვისა და ე. ჰონეკერის საუბრის დროს.

განიხილეს რუმინეთის სოციალისტურ რესპუბლიკაში 25-27 მაისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის ოფიციალური მეგობრული ვიზიტისა და რუმინეთის კომპარტიის გენერალურ მდივანთან, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტთან ნ. ჩაუშესკუსთან მისი მოლაპარაკების შედეგები. ვიზიტმა ასახა ჩვენი პარტიებისა და ხალხების მეგობრობისა და ძმური სოლიდარობის გრძნობა, შესაძლებელი გახადა პოლიტიკურ-ეკონომიკურ, კულტურულ, სამეცნიერო და სხვა დარგებში საბჭოთა კავშირ-რუმინეთის ურთიერთობისა და თანამშრომლობის მთელი კომპლექსის შემდგომი განვითარების გზების განსაზღვრა, ცხადყო, რომ ორ მხომე ქვეყანას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი აქტიურად იმოქმედონ მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

პოლიტბიუროს სხდომაზე განიხილეს ატომური ენერგეტიკის განვითარების ტექნიკური დონის ამაღლებასთან, მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხების კომპლექსი.

განსაზღვრეს ისეთი ამოცანები, როგორიცაა საიმედოობისა და ეკონომიურობის მაღალი მახასიათებლების მქონე ახალი თაობის რეაქტორული დანადგარებისა და ატომური სადგურების შექმნა, ატომური ელექტროსადგურების მოწყობილობის მუშაობის ხარისხისა და რესურსის გაუმჯობესება, მათი სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, გაითვალისწინეს საპროექტო-საძიებო სამუშაოების ძირეული გაუმჯობესების, ატომური სადგურების პროექტების უნიფიკაციის, მათი მშენებლობის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სრულყოფის, მოწყობილობის კომპლექსური მიწოდების უზრუნველყოფის, სამშენებლო ინდუსტრიის ბაზის განვითარების ღონისძიებანი. დასახეს, რომ შესაბამისი ღონისძიებანი განხორციელდეს მოქმედ და მშენებარე ატომურ ელექტროსადგურებში.

პოლიტბიურომ მოიწონა მთავრობის მიერ შემუშავებული წინადადება მეთორმეტე ხუთწლედში სამრეწველო სარკინიგზო ტრანსპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების თაობაზე. დასახეს ტვირთზიდვის მართვის ავტომატიზებული სისტემების დანერგვის, რკინიგზებთან სამინისტროებისა და უწყებების სატრანსპორტო ქვეგანაყოფების თანამოქმედების გაძლიერების ღონისძიებანი. გათვალისწინებულია, შეიქმნას ახალი ტიპის ლოკომოტივები, ვაგონები და სალიანდაგო მანქანები, შემცირდეს ხელის შრომა, აშენდეს განსატვირთავი კომპლექსები, მოძრავი შემადგენლობის სარემონტო ობიექტები, აგრეთვე გაიზარდოს სათადარიგო ნაწილების გამოშვება. საჭიროდ ცნეს შეიმუშაონ სამრეწველო სარკინიგზო ტრანსპორტის შემდგომი განვითარების 1991-1995 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის კომპლექსური პროგრამა.

მიღებულია ღადგენილება სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებაში პროკურორის ზედამხედველობის როლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ. პოლიტბიურომ განაცხადა, რომ სსრ კავშირის პროკურატურას განეკუთვნება უმნიშვნელოვანესი ადგილი სახელმწიფო ორგანოების სისტემაში, რომლებიც მოწოდებული არიან განამტკიცონ კანონიერება და მართლწესრიგი და აღნიშნა, რომ ბოლო დროს დაქვეითდა ეკონომიკის სფეროში კანონების დაცვისადმი ზედამხედველობის დონე, ყოველთვის არ იცავდნენ სათანადოდ მოქალაქეთა უფლებებსა და ინტერესებს, სამართლებრივ ნორმებს სამართალდაცვითი ორგანოების საქმიანობაში.

პოლიტბიურომ ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა ძირეულად გარდაიქმნას პროკურატურის მუშაობა, გაუმჯობესდეს მისი საქმიანობის სტილი, ფორმები და მეთოდები, რათა პროკურორები შეუპოვრად იდგნენ საბჭოთა კანონების, სახელმწიფოს ინტერესების, მშრომელთა უფლებების სადარაჯოზე, მოქმედებდნენ პრინციპულად და გაბედულად, ეწეოდნენ აქტიურ ბრძოლას დანაშავეებისა და სხვა სამართალდარღვევების წინააღმდეგ. თავის მუშაობას პროკურატურა უნდა ეწეოდეს საჯაროობის პირობებში, ამასთან ემყარებოდეს ფართო საზოგადოებრიობას, შეუპოვრად ებრძოდეს ადამიანების ბედისადმი უსულგულო დამოკიდებულების ფაქტებს, ბიუროკრატიზმის, უწყებრიობის გამოვლინებებს, კრიტიკის ჩახშობის შემთხვევებს, ყოველივე იმას, რაც ხელს უშლის გარდაქმნასა და საზოგადოების ზნეობრივ განჯანსაღებას.

პროკურატურის ორგანოებს რეკომენდაცია მიეცათ ძირითად ყურადღება მიაპყრონ იმას, რომ ქმედითი ზედამხედველობა ეწეოდეს იმას, თუ როგორ ასრულებენ კანონიერების დაცვისათვის თავიანთ მოვალეობებს სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები, სხვა თანამდებობის პირები, ყველა მოქალაქე, დროულად გამოვლინონ და აღკვეთონ კანონიერების დარღვევები. ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მიიჩნიეს, რომ პროკურატურის ორგანოებს მიენიჭოთ დამატებითი უფლებამოსილებანი.

მოისმინეს ა. თ. დობრინინის ცნობა ინდოეთში მოგზაურობის, პრემიერ-მინისტრ რ. განდისთან დინინდოეთის სხვა ხელმძღვანელებთან საუბრების შესახებ. დადასტურდა მისწრაფება, რომ თანამედროვეობა განხორციელდეს საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მორიგება, რომელიც მიღწეულია 1986 წლის ნოემბერში მ. ს. გორბაჩოვის დელში ვიზიტის დროს, განვითარდეს და განმტკიცდეს სსრ კავშირისა და ინდოეთის ტრადიციული მეგობრობა და თანამშრომლობა ორი ქვეყნის ხალხთა საკეთილდღეოდ, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების ინტერესებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე განიხილეს აგრეთვე საშინაო და საგარეო პოლიტიკის ზოგიერთი სხვა საკითხი.

მ. ს. გორბაჩოვმა მიიღო ნ. დ. ტივარი



სურათზე: საუბრის დროს. **საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.**

4 ივნისს საღამოს მ. ს. გორბაჩოვმა კრემლში მიიღო ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ნ. დ. ტივარი, რომელმაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს გადასცა ინდოეთის პრემიერ-მინისტრის რაჯივ განდის პირადი წერილი. საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობის განვითარების ახალი ეტაპისათვის დამახასიათებელი ნდობისა და დიდი ურთიერთგაგების სულისკვეთებით. მან ერთმანეთს გააცნეს საგულისხმო ინფორმაცია საერთაშორისო მნიშვნელობის აქტუალურ საკითხებზე და გამოთქვეს მოსაზრებანი მათი მოწესრიგებისადმი ყველაზე მიზანშეწონილი მიდგომის შესახებ. (საკდესი).

მესწიერთა ნამუშევრების დანერგვისათვის

შეჯიბრების გამარჯვებულნი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფსაბჭომ და ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს 1986 წელს წარმოებაში სამეცნიერო-ტექნიკური ნამუშევრების დანერგვის დაჩქარებისათვის სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციებისა და სამრეწველო საწარმოების კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგები.

სამეცნიერო ორგანიზაციებისა და სამრეწველო საწარმოების ერთობლივი ვალდებულებების მიხედვით ნამუშევართა დანერგვამ შარშან 3,7 მილიონ მანეთზე მეტი თანხის საერთო ეკონომიკური ეფექტი მოგვცა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს რა წარმოებაში სამეცნიერო-ტექნიკურ ნამუშევართა დანერგვის დაჩქარებისათვის სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციებისა და სამრეწველო საწარმოების კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგები, გამარჯვებულებად ცნეს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებითა და დიპლომებით დაჯილდოვეს შემდეგი კოლექტივები:

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. ა. წულუკიძის სახელობის სამთო მექანიკის ინსტიტუტი, საქართველოს შახტმშენებლობის საპროექტო ინსტიტუტი და „საქშახტმშენის“ ტრესტი;

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიისა და საშემდუღებლო წარმოების ტექნოლოგიის კათედრები და საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს გაერთიანება „თბილისქალაქმშენის“ № 10 ტრესტი;

სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ისარი“ და საწარმოო გაერთიანება „ქუთაისის გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანა“;

საქართველოს კ. მ. ამირეჯიბის სახელობის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და მცხეთის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანება;

რუსთავის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ავტომატმრეწველი“ და საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმი“.

აღინიშნა საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, საწარმოო გაერთიანება „თბილისხილწყლებისა“ და კვების მრეწველობის თბილისის საექსპერიმენტო ქარხნის, საქართველოს ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და ქარხანა „თბილისელექტროიზოლატის“ დადებითი მუშაობა.

რესპუბლიკურ გაზეთებსა და ჟურნალებს, საინფორმს, საქართველოს სსრ ტელევიზისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს დაეგალათ ფართოდ გაშუქონ ის სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციებისა და სამრეწველო საწარმოების კოლექტივების მოწინავე გამოცდილება, რომლებმაც საუკეთესო საბოლოო შედეგებს მიაღწიეს სამეცნიერო-ტექნიკური ნამუშევრების წარმოებაში დანერგვის დაჩქარებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა გამოთქვეს მტკიცე რწმენა, რომ რესპუბლიკის სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციებისა და სამრეწველო საწარმოების კოლექტივები, რომლებიც ასრულებენ სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებს, ახალ წარმატებებს მოიპოვებენ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის ბრძოლაში.

(საქინფორმი).

საუბარი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

6 ივნისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა მიიღო სსრ კავშირში პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ვლოძიმეჟ ნატორფი მეუღლითურთ.

მეგობრული საუბრის დროს სტუმარს გააცნეს საქართველოს კომპარტიის საქმიანობა შრომელთა დასაროზმავად სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის, ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის. მან უამბეს, თუ რა მუშაობა წარმოეს რესპუბლიკაში საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის, სოციალურ-ეკონომიკური მშენებლობის დაჩქარების, დემოკრატიის საყოველთაო გაღრცელებისა და საჯაროობის დამკვიდრების მიზნით. სტუმარი გაეცნო რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების გამოცდილებას აგროსამრეწველო კომპლექსის, ტერიტორიულ-დარგთშორისი გაერთიანებების შექმნაში, შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების, ეკონომიკის მართვის ახალი პროგრესული ფორმების დანერგვაში.

საუბრის დროს ხაზგასმით ითქვა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ დღეებში გამართულ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირს. მისი შედეგები ახალ იმპულსს აძლევს სოციალისტური სახელმწიფოების აქტიურ ბრძოლას ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის, პლანეტის მშვიდობიანი მომავლისათვის. თათბირის შედეგებმა კვლავ დამაჯერებლად ცხადყო სოციალიზმისა და მშვიდობის განუყოფელი ერთიანობა.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ საბჭოთა საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, დიდი ინტერესით და ყურადღებით ადევნებენ თვალს პოლონელი ხალხის წარმატებებს, გამოთქვამენ დიდ კმაყოფილებას იმის გამო, რომ წლითიწლობით მტკიცდება საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობა და თანამშრომლობა, ვითარდება მათი პარტიათშორისი და სახელმწიფოთშორისი ურთიერთობა, ეკონომიკური, კულტურული და სამეცნიერო კავშირი.

ამხანაგმა ვლოძიმეჟ ნატორფმა გულთბადი მადლობა გადაიხადა თბილი მიღების, შინაარსიანი და გულახდილი საუბრისათვის და აღნიშნა პოლონელ მშრომელთა დიდი ინტერესი ქართველი ხალხის ისტორიისა და კულტურისადმი, მისი მიღწევებისადმი თანამედროვე ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურულ მშენებლობაში. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელები, თქვა მან, განსაკუთრებული ინტერესით და ყურადღებით ეკიდებიან საბჭოთა კავშირში მიმდინარე გარდაქმნისა და დაჩქარების გამოცდილებას. სოციალისტური გარდაქმნების ეტაპებისა და მათი განმსაზღვრელი ფაქტორების სხვაობის მიუხედავად, ახლანდელ ცვლილებებს ორი ხალხის ცხოვრებაში, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმიანობაში ბევრი რამ აქვთ საერთო. შეხვედრის დროს გამოითქვა რწმენა, რომ ორი ქვეყნის, კერძოდ, პოლონეთ-საქართველოს მეგობრობის, ურთიერთდახმარების, კულტურული თანამშრომლობის ტრადიციული კავშირი კვლავაც განმტკიცდება და განვითარდება.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უცხოეთთან ურთიერთობ

70

დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის

ზუგდიდი: გარდაქმნისა და დაჩქარების კონცეფცია

რეპორტაჟი

წლევანდელმა სტიქიურმა მოვლენებმა დასავლეთ საქართველოს რაიონებს დიდი ზარალი მიაყენა. სტიქია არ ცხრება. ახლახან დასავლეთ საქართველოში ღვარცოფმა და გრიგალმა კვლავაც საგონებელში ჩააგდო მაშვრალი კაცი. ბუნების ასეთი ჭირვეულობა საქართველოში სინოპტიკოსებსაც არა აქვთ აღრიცხული.

ახლა, განსაკუთრებით ბეჯითად, თავდაუზოგავად ირჯებიან მინდვრის მშრომელები, რათა ხუთწლედის მეორე საიუბილეო წლის დაგალებები უთუოდ შეასრულონ, ბუნებას გამოსტაცონის, რისი შესაძლებლობაც ოდნავად მაინც არის. ასე შრომობენ ზუგდიდის, რესპუბლიკის ამ ერთ-ერთი დიდი სასოფლო-სამეურნეო რაიონის მშრომელები — კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები, მთელი მოსახლეობა. ისინი ყველაფერს ღონობენ, რომ დაძლიონ უამინდობით გამოწვეული ჩამორჩენა, დროულად დაამთავრონ თესვა, მეცხოველეობისათვის შექმნან მტკიცე საკვები ბაზა, დროზე და ხარისხოვნად კრიფონ ვადაზე ერთი თვით გვიან შემოსული ჩაის ფოთოლი, არ დაუშვან დანაკარგები, ყველა რეზერვი აამოქმედონ სამეურნეო წლის წარმატებით დამთავრებისათვის.

დღევანდელი გარდაქმნისა და დაჩქარების სიტუაცია მოითხოვს, რომ თითოეული ჩვენგანი, რიგითიდან ხელმძღვანელამდე ძირფესვიანად გარდავიქმნათ, ადრინდელზე გაცილებით უკეთ ვიმუშაოთ. ცნობილია, რომ პარშანდელი მაჩვენებლებით რაიონმა რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა და დაჯილდოდა რესპუბლიკური გარდამავალი წითელი დროშით და დიპლომით. ასეთივე დროშა და დიპლომი მიიღო ნარაზენის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ. გარდამავალი დარგობრივი რესპუბლიკური დროშა კვლავ შეინარჩუნა რაიონის სახალხო განთლებამ. საკავშირო გარდამავალი დროშა და ფულადი პრემია მიეკუთვნათ ჯიხაჯარის კომკავშირის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეებს. ჩაის ფაბრიკების შრომითი კოლექტივი დაჯილდოდა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტისა და აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის დროშით.

დროშები და ვიმპელები თავისთავად, ჰაიჰარად არ მიიღიათ. იგი ძირითადად წარმოების ინტენსიფიკაციის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და პირუტყვის პროდუქტიულობის მატების შედეგია. სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციით მიღებულმა ფულადმა შემოსავალმა შარშან 93,2 მილიონი მანეთი შეადგინა, ხოლო წმინდა მოგებამ — 15,3 მილიონი მანეთი. გარკვეული წარმატებები მოიპოვეს სამრეწველო საწარმოებმა, რომლებმაც სასაქონლო პროდუქციის წარმოების და რეალიზაციის გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს.

წარმატებებს ხელი იმანაც შეუწყო, რომ ბევრი ჩამორჩენილი საზოგადოებრივი მეურნეობა მოწინავეთა დონემდე ამაღლდა. მათმა ახალმა ხელმძღვანელობამ ახლებურად გარდაქმნა მუშაობა. ეს უპირველესად ითქმის ჭკადუაშის კოლმეურნეობაზე. მისმა ახალგაზრდა თავმჯდომარემ კობა ანთიამ იმდაგვარად გარდაქმნა მუშაობა, რომ კოლმეურნეობა უმოკლეს დროში დაწინაურდა და მოწინავე მეურნეობებს გვერდით ამოუდგა. შარშანწინდელთან შედარებით შარშან გადაჭარბებით შესრულდა ჩაის, მარცვლეულის, ბოსტნეულის, აბრეშუმის პარკის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმა-ვალდებულებები. წინა წელთან შედარებით შარშან აქ 462 ათასი მანეთით მეტი ღირებულების პროდუქცია აწარმოეს და 2 მილიონ 821 ათას მანეთს მიაღწია.

განსაკუთრებით ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში გარდაქმნისა და დაჩქარების კონცეფციით შრომობენ რაიას კოლმეურნეობის მშრომელები. უეიფროდ რომ ვილაპარაკოთ, საკმარისია ითქვას, რომ მეურნეობამ წინა წელთან შედარებით შარშან გაცილებით უკეთესი მაჩვენებლებით დაამთავრა სამეურნეო წელი. აქ საზოგადოებრივი წარმოების ყველა დარგი აღმავლობით მდინ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ეორეი ჯიქია, რომელიც ენერგიული მეურნეა, ამ დღეებში სხვა, უფრო საპასუხისმგებლო სამუშაოზე დაიწინაურეს.

კიდევ ერთი ფაქტი: რაიონის მშრომელები ყველა დარგის აღმავლობისათვის რომ იბრძვიან, იქიდანაც ჩანს, რომ ცენტრალური კარმიდამოს იერსახის შეცვლისა და გალამაზების საკავშირო გამოფენა-კონკურსში სსრ კავშირის ხუთი რაიონიდან გამარჯვებული გამოვიდა ზუგდიდის რაიონი და რესპუბლიკაში პირველს მიეკუთვნა სპატიო დიპლომი. საქართველოს რვა სოფლიდან რუხის და ინგირის კოლმეურნეობები, ზედა ეწრისა და ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობები დიპლომით, ოქროსა და ვერცხლის მედლებით დაჯილდოვდნენ.

ახლა, როცა რესპუბლიკაში სტიქიის გამო დაძაბული სიტუაციაა, მიღწეულზე წერა თითქოს უადგილოა, მაგრამ შარშანდელი ამდენი დროშებით ხელდამშვენებული ზუგდიდელები იმიტომაც წყვანალიეთ, რომ გარდაქმნისა და დაჩქარების კონცეფციის დროს მათ უფლება არ აქვთ შარშანდელზე უკეთ აღშრომონ.

— მარტო დროშები და ვიმპელები ყველაფერს როდი ნიშნავს, — გვითხრა საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველმა მდივანმა ბონდო ჯიქიამ. — დღევანდელობა ასე სვამს საკითხს: ყველა საზოგადოებრივი მეურნეობა უნდა იყოს რენტაბელური. არადა, შესაძლებლობნი და რეზერვები დიდია. ეს რეზერვები ისევ მეურნეობაშია თავმოყრილი და უწინარესად საშუალო დონის საზოგადოებრივ მეურნეობებში. მთავარია საქმისადმი გონივრული მიდგომა, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვა, ადამიანის გარდაქმნა და მისი ხელახლა აღზრდა. გამოვიძახებთ ფერმის გამგეს, ბრიგადირს, სპეციალისტს, ძირეული რგოლიდან დაწყებული თვით ხელმძღვანელამდე, ვეკითხებით სოფლის საჭირბოროტო საკითხებზე, მაგრამ მათი პასუხი არ

ᲠᲝᲪᲐ ᲗᲘᲗᲛᲐ ᲯᲝᲑᲡ ᲐᲠᲐᲗᲘᲗᲛᲐᲡᲐ

ᲥᲘᲠᲔᲣᲚᲐᲓ ᲨᲔᲕᲪᲕᲐᲚᲝᲗ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐ

ახლა ყველანი სკკპ XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებების სულისკვეთებით ვცხოვრობთ და ვშრომობთ. ყოველდღიური ცხოვრების უცილობელი პირობა გახდა ბრძოლა იმ ნეგატიურ მოვლენებთან, რომლებიც წლების განმავლობაში დამკვიდრდა და მძიმე ტვირთად აწევს საზოგადოებას. საქმე ეხება ისეთ დიდმნიშვნელოვან პრობლემებს, როგორიც არის პროდუქციის ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესება, ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობისა და სხვა დარგების საქმიანობის ძირეული გარდატეხა. ერთი სიტყვით, მიმდინარეობს გარდაქმნა. როგორ გავიგოთ გარდაქმნა პირველადი ორგანოზაციების ხელმძღვანელებს, საშუალო რგოლმა, რიგითმა ადამიანებმა?

ჩვენი აზრით, გარდაქმნა მარტო საქმიანობის ციფრებში გამოსახვას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის ან დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლას როდი ნიშნავს. ეს არის უდიდესი სახელმწიფოებრივი ღონისძიება, დაკავშირებული იმასთან, რომ გამოაშკარავდეს ყოველგვარი ნაკლოვანება და მანკიერება, კანონიერების დამახინჯების ფაქტები. დიახ, გაბედული გამოაშკარავების საფუძველზე უნდა გამოვნახოთ მართვის ისეთი მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ საწარმოო ძალებისა თუ საწარმოო ურთიერთობის სრულ მოწესრიგებას.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, საჭიროა მართვისა და საწარმოო ურთიერთობის ისეთი ფორმები, რომლებიც მშრომელებს შეუქმნის კანონიერების დუშახინჯებლად მუშობისა და ცხოვრების ნორმალურ პირობებს, თორემ, როგორც ი. კ. ლიგაჩოვმა აღნიშნა თავის გამოსვლაში ახლახან გამართულ რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო აქტივის კრებაზე, სიტყვით გარდაქმნა გვექნება, საქმით კი უძრაობა.

გარდაქმნა დროის უცილობელი მოთხოვნაა, რადგან მეტის მოთმენა და ატანა უკვე შეუძლებელია, რადგან სიმახინჯეთა ჩვენი საქმიანობის ზოგიერთი მიმართულებით კულმინაციურ წერტილს მიაღწია და, ცხადია, ადამიანებს მობეზრდათ ასეთ ვითარებაში ყოფნა.

როგორც აღვნიშნეთ, გარდაქმნა ეხება სახალხო მეურნეობის ყველა დარგს, ყველა სფეროს, ყველა ადამიანს, განსაკუთრებით კი იმას, ვინც ვალდებულია უზრუნველყოს მისდამი დაკვეთდებარებული დარგის საქმიანობის გარდაქმნა. უპირველესად, მხედველობაში მაქვს საშუალო რგოლის, ძირეული აღმასრულებელი ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

სხვა დარგებთან ერთად, მთლიან გარდაქმნას საჭიროებს სახალხო მეურნეობის ისეთი დამხმარე დარგი, როგორიც არის მოსახლეობის შეკვეთით ბინების შეკეთება და მშენებლობა. ამ დარგის მუშაობაზე, აქ გამეფებულ მანკიერ სტილსა და მეთოდებზე ძალზე ბევრი თქმულა და დაწერილა, მაგრამ საქმე ადგილიდან არ იძვრის. აქ ყოვლად შეუწყნარებელი მდგომარეობა შეიქმნა, რომელიც არავითარ კანონს არ ექვემდებარება. არადა, ეს დარგი საზოგადოებისათვის მეტად საჭირო, შინაარსით მეტად ფართო, რთული და სპეციფიკური. სამწუხაროდ, ჩვენს რესპუბლიკაში, და არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, იგი სრულიად მოუწესრიგებელია, ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას. უფრო მეტიც, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ეს დარგი დღეისათვის ყოველგვარი სიმახინჯის განსახიერებად რჩება. ლაპარაკით კი ვლაპარაკობთ, მაგრამ საქმით არავინ არაფერს აკეთებს მდგომარეობის გამოსასწორებლად. სად ვიპოვოთ გამოსავალი?

იმის იმედით ყოფნა, რომ საქმეს მარტო მომთხოვნელობის გაზრდით, დაშინებითა და მუქარით, კონტროლისა და შემოწმებათა გაძლიერებით, ადმინისტრირებით ეშველება, აბსურდული იქნება. პრაქტიკამ ცხადყო, რომ ასეთი მოქმედებით ფონს ვერ გავალთ. ამ დარგის მოწესრიგებას, მის საქმიანობაში არსებულ სიმახინჯეთა აღმოფხვრას უზრუნველყოფს მხოლოდ და მხოლოდ ძირეული გარდაქმნა. ჩვენ გაბედულად უნდა გამოვაცხადოთ ყოველივე ის, რაც ხელს გვიშლის საქმიანობის მოწესრიგებაში. სხვანაირად არაფერი გამოვა.

ყველაზე მტკივნეულ პრობლემად დარგის საქმიანობაში ჯვლავრჩება შრომის ანაზღაურება. დღემდე არსებული პრეისკურანტები იმდენად არაკვალიფიციურად, უვიცად არის შედგენილი, რომ მომსახურების ღირებულებიდან (საერთო ღირებულებას დაკლებული მასალების ღირებულება) გამომდინარე შრომის ანაზღაურების მინიმალური შესაძლებლობაც კი არ არსებობს.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ხელმძღვანელობამ, რომელსაც ეს დარგი ექვემდებარება, სცადა მიეწესრიგებინა ეს მტკივნეული საკითხი, ამ მიზნით ორი წლის წინათ „ყოფრემშენის“ თბილისის ტრესტში შეიმუშავეს და გაავრცელეს შრომის ანაზღაურებისა და მატერიალური სტიმულირების ახალი სისტემის ექსპერიმენტი, რომელიც ითვითვე არ შეიძლებოდა ყოფილიყო მიღებული როგორც კანონი მისი ზეკომერციულობისა და ზოგიერთი სხვა ობიექტური მიზეზის გამო. მაგრამ ამ სიახლეს, რატომღაც, გავლენიანი მომხრენი გამოუჩნდნენ და ადგილობრივ ტრესტში დაინერგა. ამ ტრესტის სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციები უხვად მოამარაგეს იმპორტული საქონლით, რათა შეექმნათ ექსპერიმენტის გამართლების მოჩვენებითი ატმოსფერო. გავიდა ორი წელი და, როგორც მოსალოდნელი იყო, ეს „დაკანონებული“ უკანონობა მაინც აიკრძალა, ამრიგად, შრომის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტა დარგის საქმიანობაში კვლავ უპირველეს პრობლემად რჩება. იგი უნდა ყოს სტაბილური და რაც შეიძლება მარტივი. ესე იგი, უნდა გარდაიქმნას ხელფასის გადახდის საკითხი, დაწესდეს ახალი პრეისკურანტები, მათში შემავალ კოეფიციენტებს, ამხანაგობანი თუ ინდივიდუალური მოსაქმენი დარგის სახელმწიფო ორგანიზაციების დანამატად უნდა იქცეს. მათი საქმიანობა ძალზე სპეციფიკური უნდა იყოს. თუ დღევანდელი პირობები არ შეიცვალა, სახელმწიფო ორგანიზაციები კონკურენციის ატმოსფეროში აღმოვჩნდებით, და ძალზე საეჭვოა ახალ ეკონომიკურ პირობებში, ხარჯთდაფარვისა და თვითდაფინანსების ვითარებაში გავუძლოთ ამ კონკურენციას, და თუ ამ საკითხს დროზე არ მივხედეთ, გაკოტრების საფრთხე შეგვექმნება, დარგის სახელმწიფო ორგანიზაციები ვეღარ იარსებებენ.

არ უნდა გამოვიდეს ისე, რომ კერძო მრეწველობა და შინამრეწველმა კოოპერატორებმა, რომლებსაც პრიმიტიული საწარმოებიც კი არ გააჩნიათ, დაჯახნონ სახელმწიფო ორგანიზაციები, რომლებსაც ჰყავთ შედარებით კვალიფიციური კადრები და აქვთ საწარმოთა მთელი არსენალი. ამიტომაც, ძალზე დიდი პოლიტიკური, ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭება გარდაქმნებს, რომლებზეც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი.

ამჟამად, სამინისტროს ხელმძღვანელობამ, აწკარად დროის მოგების მიზნით, სრულიად სამართლიანად, როგორც დროებითი ღონისძიება, სცადა მიეღწია იმისათვის, რომ საერთო გეგმის 40 პროცენტი ძირეული ორგანიზაციებისათვის მიეცა უნაღდო ანგარიშსწორებით სამუშაოთა შესასრულებლად, რათა მისთვის კანონის ძალა მიენიჭებინა. სამართლე რომ ითქვას, ასეთ ვითარებაში სხვა გამოსავალი არ არის, მაგრამ ბანკის წინააღმდეგობის გამო ეს საქმე ჯერჯერობით ბოლომდე ვერ მივიდა. არადა, უთუოდ საჭიროა.

ჩვენ, დარგის ძირეული ორგანიზაციების მუშაკები ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ ზემდგომი ორგანოები ყურად იღებენ ამ წერილში წამოჭრილ საკითხებს და დაგვეხმარებიან საქმის მოწესრიგებაში.

რ. ჩხაიძე,
ზ. ჩაჩიბაია,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ᲐᲠᲩᲘᲛᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ

ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘ

საარჩევნო კამპანიაში ბოლო სტადია — ყველგან შრომითს კოლექტივებში, სასოფლო ყრილობებზე და საცხოვრებელ ადგილას დაიწყო ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატთა შეხვედრები ამომრჩევლებთან. საქმიანად, მომთხოვნელად განხილავენ საკითხებს და ეძებენ იმ პრობლემათა გადაჭრის გზებს, რომლებიც დღეს ადამიანებს აწუხებთ. მათ მიერ გამოთქმული შენიშვნები, სურვილები, განაწესები შემდგომში შეადგენს საბჭოების, ხალხის თითოეული რჩეულის საქმიანობის პროგრამას. პირველი ანგარიშგებიდან ამსახავ ჯვავ ტაბულიანი ინფორმაციას ეკონომიკურ საკითხებზე.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებულ რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა შორის აქ მოქმედი ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხნის ფილიალის ხარატის მიხეილ პეტრეს ძე დემიანოვიჩის გვარი პირველია აღნიშნული. გიმართა მისი შეხვედრა ამომრჩევლებთან. მან არა მარტო გულმოდგინედ მოისმინა და ჩაინიშნა ყოველი ორატორის სურვილი, არამედ თვითონაც, თავის მხრივ, ანგარიში ჩაბარა მათ გაწეული მუშაობის შესახებ. და ეს შემთხვევითი როდია, მ. დემიანოვიჩი ხომ ახლანდელი მოწვევის რაიონული საბჭოს დეპუტატია და სწორედ მისმა ნაყოფიერმა საქმიანობამ ამ მხრივ დაადასტურა კოლექტივის ნდობა, რომელმაც მეორეჯერ დაასახელა იგი თავის სრულუფლებიან წარმომადგენელად სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში.

მისი წინადადებით კადრის მუშებმა იკისრეს ახალბედებისათვის მომიჯნავე სპეციალობების სწავლება და ამით გადაწყვეტეს ერთ-ერთი ყველაზე საჭირბოროტო საკითხი — კადრების მომზადების პრობლემა. კოლექტივში ახსოვთ ისიც, თუ როგორ ზრუნავდა იგი, რათა დაენიშნათ ქარხნელებისათვის მოხერხებული საქალაქო ავტობუსის ახალი მარშრუტი. მისი დახმარებით მოგვარდა დაბაში სტაბილური ენერგომომარაგება. მაგრამ თვით მიხეილ დემიანოვიჩს მიაჩნია, რომ ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის გადაწყვეტილი შრომისა და ყოფა-ცხოვრების მრავალი საკითხი. მან მთელი ყურადღება მიაპყრო პროდუქციის ხარისხს, ისეთ მნიშვნელოვან პრობლემას, როგორიც არის კადრების, განსაკუთრებით ახალგაზრდა კადრების დინადობა. უნდა აშენდეს დასვენების ოთახი, ახალი სასადილო, საწხაპეები, ქარხანას ძალზე სჭირდება სპორტული ბაზაც. ამისათვის სახსრები გამოყოფილია, მაგრამ მათ ნელა ითვისებენ; თავის ამომრჩევლებთან ერთად სწორედ ამისათვის უნდა იზრუნოს მ. დემიანოვიჩმა.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. დღეს თავისებურ დენდრარიუმს წარმოადგენს საწარმოო გაერთიანება „საქართველოს“ ტერიტორია და, რაც ყველაზე საინტერესოა, ყველაფერი აქ — ყვავილნარებით დაფენებული და ჩრდილოვანი ხეივნებით დამთავრებული — თავისი ხელით დარგა სამუშაოსაგან თავისუფალ დროს ვალენტინა კლიმენტის ასულმა იკონიკოვამ.

— ჩემი სანუკვარი ოცნებაა აყვავებულ ბაღად გადავაქციოთ ჩვენი ქალაქი — საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის ამ სიტყვებს ამომრჩევლებთან შეხვედრაზე ტაშით შეხვდნენ.

№40 საარჩევნო ოლქში, სადაც მან კენჭი უნდა იყაროს, შედის რუსთაველის ქუჩაც, რომელზეც იკონიკოვა ცხოვრობს. ჰოდა, აი მისი ინიციატივით აქ უკვე დაიწყო გამწვანება და კეთილმოწყობა: მოასფალტებულია საგალი ნაწილი, გაჰყავთ მიწისქვეშა კომუნიკაციები, ელექტრონთა და ქალთა საბჭოები. ამის მიზეზია, რომ საკმარისი აქტიურობით არ მიმდინარეობს განმარტებითი მუშაობა საცხოვრებელ ადგილას. ეჭვიანკრებებზე ჯერ კიდევ ვლინდება ყალბი ორგანიზებულობა. მაგრამ ასეთი ნაკლოვანებანი ერთეულია. კრებების აბსოლუტური უმრავლესობა კი მიმდინარეობს საბჭოთა საჯაროობის ვითარებაში, რაც დეპუტატებს დაეხმარება შემდგომშიც შეასრულონ ამომრჩეველთა განაწესები. (საქინფორმი).



ᲒᲚᲓᲐᲜᲘᲡ მეექვსე მიკრორაიონის საბინაო-საექსპლოატაციო უბანში მოთავსებულია ადგილობრივი საბჭოების არჩევნების № 16 საარჩევნო უბნის აგიტპუნქტი.

აგიტატორები რეგულარულად ხვდებიან ამომრჩევლებს, ეხაუბრებიან მათ, უპასუხებენ მათთვის საინტერესო კითხვებზე.

წინა არჩევნებიდან განვლილ დროში აქ ბევრი რამ შეიცვალა, — თქვა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ლევან ნიკაბაძე, — აშენდა ახალი საცხოვრებელი კორპუსები, სბავშვო ბაღა-ბაღები, მაღაზიები, გაშენდა ხეივრები.

სურათზე: საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ლევან ნიკაბაძე და აგიტატორები — სბავშვო ბაღა-ბაღის აღმზრდელები ლია ხარაძე, ნინო შარაბიძე და ნელი ხახვიაშვილი აუხსნიან ამომრჩეველთა ხიებს.

ᲤᲝᲢᲝ. ᲠᲐᲡᲚᲝᲕᲘᲡᲘᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲞᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ● „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ“ ᲞᲐᲡᲣᲮᲝᲑᲡ

ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲡᲐᲥᲛᲔᲚᲐᲓ

ᲒᲐᲖᲔᲗ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა წერილი „აზრდოს პასუხისმგებლობა“.

იგი ეხება ბათუმის რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს: წერილში კრიტიკულად არის განხილული პედინსტიტუტის საქმიანობა თანამედროვე დონეზე სასწავლო პროცესის გარდაქმნისათვის, კურსდამთავრებულთა განაწილებისა და სამუშაოზე შენარჩუნების საქმის გაუმჯობესებისათვის. ხაზგასმულია, რომ ბათუმის პედინსტიტუტში დაბალ დონეზეა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, პროფესორ-მასწავლებელთა შორის არ არის ჯანსაღი ურთიერთობა და სხვ.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის პირველი მოადგილე რ. ხუციძე გვატყობინებს:

ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ მიერ გამოყოფილმა სპეციალურმა კომისიამ შეამოწმა ბათუმის პედინსტიტუტში შექმნილი მდგომარეობა. ხანმინისტროს კოლეგიამ განიხილა საკითხი: „ბათუმის რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებისა და მათი დაძლევის ღონისძიებათა შესახებ“ და თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილი წერილი „აღზრდის პასუხისმგებლობა“ სწორად და სამართლიანად ასახავს ინსტიტუტში შექმნილ მდგომარეობას“.

სამინისტროს კოლეგიამ ბათუმის პედინსტიტუტის მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებისაქმის, სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეცნიერო მუშაობის საერთო ხელმძღვანელობაში დაშვებული შეცდომებისა და პრინციპული ხარვეზებისათვის ინსტიტუტის რექტორს პროფესორ დ. ბალაძეს გამოუცხადა სასტიკი საყვედური. კოლეგიის იმავე გადაწყვეტილებით ბათუმის პედინსტიტუტში სასწავლო პროცესის ორგანიზაციაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებისათვის, თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად ინსტიტუტის ფაკულტეტებისა და კათედრების მიმართულებით არასაკმარისი მუშაობისათვის ინსტიტუტის პროორექტორს სასწავლო მუშაობის დარგში დოცენტ ნ. ვერძაძეს, რომელმაც უკანასკნელ ხანს დაიკავა აღნიშნული თანამდებობა, გამოეცხადა საყვედური. ამასთანავე დ. ბალაძე და ნ. ვერძაძე კოლეგიამ გაფრთხილა, რომ, თუ ისინი თვისებრივად არ გარდაქმნიან მუშაობას, განთავისუფლდებიან დაკავებული თანამდებობიდან. კოლეგიამ საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის წინაშე დააყენა საკითხი დოცენტ ჯ. ბერიძის მუშაობის მიზანშეუწონლობის შესახებ ინსტიტუტის პროორექტორის თანამდებობაზე სამეცნიერო მუშაობის დარგში.

სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილებაში დასახულია ღონისძიებანი ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის მუშაობის გარდასახვნელად. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების „ქვეყანაში უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების გარდაქმნის ძირითადი მიმართულებანი“ მოთხოვნათა შესაბამისად.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲠᲔᲘᲓᲘ

„ᲠᲝᲒᲝᲠ ᲮᲕᲓᲔᲑᲘ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲡ, ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲑᲐᲜᲐᲙᲝ?

ᲛᲝᲕᲘᲓᲐ დღეც, როცა პიონერული საყვირი აახმიანებს საქართველოს მთა-ველებს, ჭალებსა და ხეობებს. სამღერით, ყიჟინ-ზივილით შემოვა მზიარული ზაფხული პიონერთა ბანაკებში და ანძაზე ალისფერი ალაში აფრიალდება.

მანამდე კი პიონერთა ბანაკებში დიდი სამზადისია — რემონტდება საძილე კორპუსები, კვების ბლოკები და დარბაზები, წესრიგში მოჰყავთ სპორტული მოედნები, ზოგიერთ ბანაკში სარემონტო სამუშაოები უკვე დაუმთავრებიათ, კორპუსები და ეზოკარმიდამო დაუწმენდ-დაუგვიათ, კოხტად გაფორმებული პიონერთა ოთახები, ქათქათა საწოლები, ბავშვების დასვენებისა თუ შემოქმედებითი საქმიანობის მიზნობრივი კაბინეტები. პირველი სტუმრების მოლოდინშია.

სწორედ ასეთი სურათი ვნახეთ მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის სურამის პიონერთა ბანაკ „მშენებელში“ (ბანაკის უფროსი ჯ. კურტანიძე).

ბანაკში სასიამოვნო სიახლეც არის — პირველი დამსვენებლები აქ ახალმოსახლეობის ეზიმიებენ: საეჭვლოტაციოდ გადაეცა 280 ბავშვისათვის გათვალისწინებული ახალი საძილე კორპუსი.

„მშენებლის“ მეზობელია „ფოლადი“, რომელიც რუსთაველის მეტალურგიულ ქარხანას ეკუთვნის, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით, რომ რუსთაველები სათუთად მზრუნველობდნენ მას. შარშან აქ ბავშვთა კვების ორგანიზაციაში, სამზარეულოს მუშაკთა შორის პირადი ჰიგიენის დაცვაში (!) ბევრი უწესრიგობა იყო. ეს ამბავი მაშინ ვაუწყეთ კიდეც, სადაც საჭირო იყო, და ამიტომაც, ვიმედოვნებთ, შარშანდელი ნაკლოვანებები წლეულს ალარ განმეორდება, თუმცა ამის ხელაღებით მტკიცებაც ჩვენგან სითამამე იქნებოდა, რადგან ბანაკი 6 ივნისს იხსნება და გახსნამდე ოთხი დღით ადრე ეზო ჯერაც მოუწყობელი იყო, კვების ბლოკში მაცივარ-დანადგარები — გასაწყობი, ამბანო არ მუშაობს და, რაც ყველაზე მიუტევებელია, საკანალიზაციო ქსელზე არ ჰქონდათ ქლორატორი.

დიდი სურვილის მიუხედავად, ვერ შევძელით საძილე კორპუსში ბავშვთა ოთახების ნახვა: მასპინძლებს კარის გასაღები არ აღმოაჩნდათ.

პარტიის ხაშურის რაიკომმა ამ დღეებში პრინციპულად ამსჯელა პიონერთა ბანაკებში ახალი სეზონის მომზადებულად შეხვედრის საკითხებზე, შემუშავდა ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკი. სწორედ ამ გრაფიკით მოჰკითხავენ ბანაკის ხელმძღვანელებს რემონტის სამუშაოების მიმდინარეობას და, თუ ამ საკითხებზე ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ყველგან ასე როდია.

აი, მაგალითად, თუმცა ადგილმრეწველობის, კომუნალური და საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშაკთა პროფკავშირების ქვეშ-ხეთის პიონერთა ბანაკს „ნაკადული“ ჰქვია (ბანაკის უფროსი — ვ. ტაბატაძე), მაგრამ გაწვიმდება თუ არა, ბანაკში ისეთი ნიაღვარი შემოვარდება, რომ ბავშვების იქ ყოფნა სახიფათოც კი ხდება ხოლმე; სანაღვრე არხი „ნაკადულში“ წყლისაც არ გაუჭრიათ. ორსართულიან ახალ საძილე კორპუსზე მშენებლებს სახანძრო კიბის დამონტაჟება „დავიწყებიათ“, არადა, აქ ხომ ბავშვებმა უნდა იცხოვრონ.

6 ივნისს იხსნება ადგილმრეწველობის, კომუნალური და საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის სურამის პიონერთა ბანაკ „ოცნებას“ (ბანაკის უფროსი — შ. გელაშვილი), სადაც წელს ბევრი რამ გაკეთდა პიონერული ზაფხულის მაღალორგანიზებულ დონეზე წარმართვისათვის.

ნ. ლომაძე,
პარტიის ხაშურის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ინსტრუქტორი;
დ. ხარაზიშვილი,
კომკავშირის ხაშურის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე;
მ. ტროუკაშვილი,
ხაშურის რაიონის სანეიმდესადგურის ბავშვთა და მოზარდთა მიწიგენის ექიმი;
გ. ვაშაკიძე,
გაზეთ „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ეკონომიკა
ფაქტები • მოვლენები

უშიშროების ქოვლისმომცველი კონცეფცია

ე. ჰონეკერის გამოსვლა

ბაგა. ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა სამხედრო დოქტრინას თავდაცვითი ხასიათი აქვს. მას საფუძვლად უდევს ის, რომ საჭიროა რაც შეიძლება დაბალ დონეზე შეინარჩუნონ სამხედრო წონასწორობა, განაცხადა აქ გამოსვლისას გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ერიხ ჰონეკერმა, რომელიც ნიდერლანდში იმყოფება სამდღიან ოფიციალურ ვიზიტად.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის ბერლინის თათბირზე, თქვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელმა, წამოაყენეს ყველა ხალხისა და სახელმწიფოს უშიშროების ყოვლისმომცველი კონცეფცია. ჩვენი წინადადებები, რომლებიც უყურადღებოდ არ ტოვებს არც ერთი სახეობის იარაღს, და ადრეული ეხება კონტროლს, ყველა დაინტერესებულ მხარეს საშუალებას აძლევს, თუ გონიერებას, ფხიზელ მიდგომასა და კეთილ ნებას გამოიჩენენ, მიაღწიონ შორსგამიზნულ შეთანხმებებს შეიარაღების შეზღუდვისა და განიარაღების შესახებ.

ევროპაში საშუალო სიშორის რაკეტების ლიკვიდაცია, აღნიშნა ე. ჰონეკერმა, კაცობრიობის ისტორიაში განიარაღებისაკენ გადადგმული პირველი რეალური ნაბიჯი იქნება. არაფერი გვაქვს იმის საწინააღმდეგო, რომ წონასწორობისა და თანაბარი უშიშროების პრინციპის დაცვის პირობებში საქმე ერთი „ნულოვანი ვარიანტიდან“ წინ მიდიოდეს მეორისაკენ, იქნება ეს ბირთვული, ქიმიური თუ ჩვეულებრივი შეიარაღების დარგი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელმა გაილაშქრა კოსმოსური სივრცის მილიტარიზაციის წინააღმდეგ. გამალებული შეიარაღება, რომლის შეწყვეტა დღის წესრიგში დგას, კოსმოსის მილიტარიზაციის გამო სულ ახალ-ახალ მასშტაბს შეიძენს, გაიზრდება ბირთვული ომის საშიშროება, თქვა მან. ე. ჰონეკერმა აგრეთვე აღნიშნა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა აყენებენ წინადადებას, შეუდგნენ ჭოლაპარაკებას ცენტრალურ ევროპაში ბირთვული და ქიმიური იარაღისაგან თავისუფალი ზონის შექმნის შესახებ. ეს, ხაზი გაუსვა მან, გააადვილებს ევროპაში საშუალო სიშორის რაკეტების ლიკვიდაციას და ქიმიური იარაღის გლობალური აკრძალვის მიღწევას.

ე. ჰონეკერმა აქ ნიდერლანდის პრემიერ-მინისტრთან რუდოლფ ლუბერსთან გამართა მოლაპარაკება, რომლის დროს ძირითადი ყურადღება დაეთმო განიარაღების დარგში ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა ბოლო წინადადებებს, აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობას. ორი ქვეყნის ხელმძღვანელებმა განიხილეს აგრეთვე ორმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოების საკითხი.

ნოვატორული ნაბიჯი

ადმირალმა ლაროკმა მხარი დაუჭირა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის წინადადებებს

ნიუ-იორკი. ვაშინგტონის თავდაცვითი ინფორმაციის ცენტრის დირექტორმა, გადამდგარმა კონტრ-ადმირალმა ჯინ ლაროკმა „ისტორიაში უპრეცედენტო ნოვატორული ნაბიჯი“ უწოდა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის ბერლინის თათბირზე წამოყენებულ წინადადებას, რომ ნატოს წევრ ქვეყნებთან ერთად გაიმართოს კონსულტაციები ორივე კავშირის საშხედრო დოქტრინების შედარების მიზნით. „დარწმუნებული ვარ, თუ ასეთი გაცვლა მოეწყობა, ეს ხელს შეუწყობს ურთიერთუნდობლობის თავიდან აცილებას“, — თქვა მან საკდესის კორესპონდენტთან საუბარში. ამერიკელი სამხედრო ექსპერტისა და საზოგადო მოღვაწის აზრით, „საჭიროა გადაისინჯოს იმ როლის საკითხი, რომელსაც ორი კავშირის სამხედრო კონცეფციებში ასრულებს ბირთვული იარაღი“.

„საბჭოთა კავშირმა და ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებმა რომ გამოაცხადეს, ბირთვულ იარაღს პირველნი არასოდეს ვიხმართო, ბრძნული ნაბიჯი აღმოჩნდა. ჩვენ დაეინბით მოვუწოდებდით შეერთებულ შტატებს და ნატოს განეზრაცელებინათ ასეთივე პოლიტიკა, თქვა შემდეგ ჯ. ლაროკმა. ორივე მხარეს რომ ეკისრა ბირთვული იარაღის პირველად გამოუყენებლობა ვალდებულება, ეს მათი მშვიდობისმოყვარეობის დადასტურება იქნებოდა“.

ალესანდრო ნატას პრესკონფერენცია

რომი. საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივებს დიდი შეფასება მიცა იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ალესანდრო ნატამ. იტალიაში 14-15 ივნისს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე გამოსულმა მან განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი საერთაშორისო ასპარეზზე ახორციელებს პოლიტიკას, რომლის მიზანია ყველასათვის უშიშროებისა და მშვიდობის მიღწევა. სსრ კავშირის აზრით, ხაზგასმით აღნიშნა იტალიის კომპარტიის ხელმძღვანელმა, მშვიდობა უნდა ემყარებოდეს არა იარაღს, არამედ მასზე უარის თქმას, უწინარეს ყოვლისა, ბირთვულ შეიარაღებაზე უარის თქმას.

უშიშროება, თქვა შემდეგ ა. ნატამ, შეიძლება იყოს მხოლოდ კოლექტიური. არ შეიძლება უშიშროება მხოლოდ რომელიმე ბლოკისათვის, რომელიმე ცალკე ქვეყნისათვის, ამიტომ, თქვა მან, ვერავითარი „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივები“, ვერავითარი „კოსმოსური ფარები“ ვერ იქნება სიიმედო საფარი. უშიშროება უნდა ვეძებოთ მხოლოდ როგორც ბირთვული, ისე ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების გზაზე.

ა. ნატამ დაგმო სპარსეთის ყურეში სამხედრო ჩარევის პოლიტიკა. იტალია, ხაზი გაუსვა იტალიის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა, არ უნდა მონაწილეობდეს არავითარ მოქმედებაში სპარსეთის ყურეში. მან აღნიშნა, თუ რაოდენ საჭიროა ყველა ქვეყანა აქტიურად მონაწილეობდეს ირანისა და ერაყის საომარი მოქმედების შეწყვეტის ეფექტიან საშუალებათა ძიებაში.

პრესკონფერენციაზე დიდი ყურადღება დაეთმო ქვეყანაში მიმდინარე საარჩევნო კამპანიას, რომლის დროს კომპარტიამ ამომრჩევლს შესთავაზა იტალიის საზოგადოების განვითარებისა და განახლების კონკრეტული პროგრამა. ამ პროგრამის ცენტრში, თქვა იტალიის კომპარტიის ხელმძღვანელმა, დგას მასობრივი უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემა.

ოფიციალურ ვიზიტად

დაიწყო ჯაო ძიანის ვიზიტი პოლონეთში

▼▼

ვარშავა. 4 ივნისს ვარშავაში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მოადგილის შემსრულებელი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი ჯაო ძიანი. აეროპორტში მას დახვდნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფოს საბჭოს თავმჯდომარე ვ. იარუზელსკი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. მესნერი, სხვა ოფიციალური პირნი.

იმავე დღეს ვ. იარუზელსკი შეხვდა ჯაო ძიანს.

ნიკარაგუის წინააღმდეგ

გაიხსნა ჰონდურასისათვის ავიაგამანადგურებლების მიწოდების გზა

▼▼

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა კომიტეტთან არსებული დასავლეთის ნახევარსფეროს საქმეთა ქვეკომიტეტმა ხუთშაბათს ჩაშალა რეზოლუცია, რომელიც კრძალავდა ჰონდურასისათვის ფ-5 ამერიკული ავიაგამანადგურებლების მიწოდებას. კონგრესის საპროცედურო წესებით, ეს ნიშნავს, რომ ასეთ რეზოლუციას წარმომადგენელთა პალატა აღარ განიხილავს. რეიგანის ადმინისტრაცია აპირებს 12 ავიაგამანადგურებელი მიაწოდოს ჰონდურასს, სადაც განლაგებულია ნიკარაგუელ კონტრრევოლუციონერთა ძირითადი საყრდენი ბაზები. მისი გეგმები რომ ჩაიფუშა, მიწოდების წინაამდეგ უნდა გაელაშქრა კონგრესის. ორივე პალატას, ჰონდურასისათვის ავიაგამანადგურებლების მიწოდება თეთრ სახლს ომისთვის სჭირდება, რომ მიაღწიოს „რეგიონში გამალებული შეიარაღების ესკალაციას, რომელიც სურს გამოიყენოს ნიკარაგუის წინააღმდეგ პირდაპირი სამხედრო ინტერვენციის სამაბად“, განაცხადა მეორე საზოგადოებრივი ორგანიზაციის „ამერიკის სახელმწიფოთა დიალოგის“ წარმომადგენელმა ვიქტორ ჯოტმა, და, იქნებ, ნიკარაგუის მთავრობის „პროვოცირებისთვისაც“.

● იუგოსლავია

თათბირმა მუშაობა დაამთავრა

ბრიონი (იუგოსლავია). ადრიატიკის ბრიონის კუნძულზე მუშაობა დაამთავრა ხმელთაშუა ზღვის მიუმხრობელი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირმა. თათბირში მონაწილეობდნენ ალჟირის, ეგვიპტის, კვიპროსის, ლიბიის, მალტის, მაროკოს, სირიის, ტუნისისა და იუგოსლავიის საგარეო-პოლიტიკურ უწყებათა მეთაურები, აგრეთვე ლიბანის, პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციისა და ზიმბაბვეს — მიუმხრობლობის მოძრაობის თავმჯდომარე ქვეყნის წარმომადგენლები.

საბოლოო სხდომაზე მიიღეს მიმართვა ხმელთაშუა ზღვის ყველა სახელმწიფოსადმი, რომელიც შეიცავს მოწოდებას ითანამშრომლონ რეგიონში მშვიდობისა და უშიშროებისათვის, „მოქმედების პროგრამა“ და სხვა დოკუმენტები. მათში ნათქვამია, რომ მხარს უჭერენ ინიციატივებს ხმელთაშუა ზღვის სტაბილური მშვიდობის ზონად გადაქცევისათვის.

მიღებულია გადაწყვეტილება ხმელთაშუა ზღვის მიუმხრობელი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების მორიგი თათბირი მოეწყოს ალჟირში 1988 წელს.

ტელეტაიპის ლენტიდან

◆ **პარიზი.** პარიზის ცენტრში გაიმართა მემარჯვენეთა პარტიის სოციალური პოლიტიკის საწინააღმდეგო საპროტესტო მანიფესტაცია. მანიფესტაცია მოეწყო შრომის საყოველთაო კონფედერაციის პროფკავშირული გაერთიანების მოწოდებით იმასთან დაკავშირებით, რომ კაბინეტმა გამოაცხადა სოციალური უზრუნველყოფის სისტემის ფინანსურ სიძნელეთა დაძლევის ღონისძიებანი.

◆ **ბონი.** დასავლეთ გერმანიის ქალაქ ბრემენის გერმანელთა პროფკავშირების გაერთიანების ორგანიზაციამ მოუწოდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შშრომელებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ ომისსაწინააღმდეგო დემონსტრაციაში, რომლის გამართვას 13 ივნისს აპირებენ ბონში. მთავრობამ ბოლოს და ბოლოს უნდა შეიგნოს, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოსახლეობა დაინტერესებულია სამშვიდობო სიშორის ბირთვული რაკეტების ლიკვიდაციით, ხაზგასმულია განცხადებაში. ოფიციალურმა ბონმა უარი უნდა თქვას განიარაღების პროცესში მუხრუჭის როლზე და უნდა გამოიმუშაოს კონსტრუქციული პოლიტიკა ამ სფეროში.

◆ **ჰავანა.** ევროპისა და ლათინური ამერიკის 30 ქვეყნის ტურისტულ სააგენტოთა დაახლოებით ათასი წარმომადგენელი მონაწილეობს კუბაში გახსნილ „კუბატურ-87“ საერთაშორისო შეხვედრაში. წელს იგი იმართება მსოფლიოში ცნობილ კურორტ ვარადეროში. ტურისტულ საადგილოთა წარმომადგენლები ეცნობიან იმ ჩინებულ შესაძლებლობებს, რომლებსაც თავისუფლების კუნძულზე ანიჭებენ უცხოელ სტუმრებს. შეხვედრის დამთავრების შემდეგ ხელს მოაწერენ კონტრაქტებს კუბაში საზღვარგარეთელ ტურისტთა მოგზაურობის მოწყობის შესახებ.

★ ინდოეთი

ოფიციალურ ვიზიტად

ინდოეთის ეროვნული კონგრესის ლიდერი ინდოეთში ჩავიდა

ნიუ-იორკი. კოსმოსში გამალებული შეიარაღების თავიდან აცილების საკითხებს ცენტრალური ადგილი უკავია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მშვიდობიანი მიზნებით კოსმოსური სივრცის გამოყენების კომიტეტის აქ მიმდინარე სესიის დისკუსიაზე. დელეგატებმა ერთსულოვანი აზრი გამოთქვეს იმის შესახებ, რომ კოსმოსი თავისუფალი უნდა იყოს ნებისმიერი იარაღისაგან, მისი კვლევა კი ემსახურებოდეს მხოლოდ მშვიდობისა და კაცობრობის აყვავების საქმეს.

დედამიწისირგვლივი სივრცის მილიტარიზაციის ცდა უდიდეს საშიშროებას წარმოშობს და ზრდის ბირთვული ომის წარმოქმნის ალბათობას, აღნიშნა, კერძოდ, ინდოეთის წარმომადგენელმა ი. ს. რაჯანმა. გამალებული შეიარაღება კოსმოსში ბევრ სახელმწიფოს შეზღუდავს ან მთლიანად დაუზღვევს ახალ კოსმოსური ტექნიკის, მნიშვნელოვანი მეცნიერული მონაკემების, მოწინავე ტექნოლოგიის ათვისების გზას, თქვა მან.

ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, კუბის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლები შეეწინენ კოსმოსური იარაღის სისტემების შემუშავების სახიფათო გეგმებს, რომლებსაც, როგორც ცნობილია, ამერიკის მხედრობითი სახავს. საშიშროება, რომელსაც შეიცავს კოსმოსური სივრცეში გამალებული შეიარაღების გადატანა, საერთაშორისო საზოგადოებრიობის მზარდ შეშფოთებას იწვევს, აღნიშნეს სოციალისტური ქვეყნების დელეგატებმა. ეს შეშფოთება საფუძვლიანია თანამგზავრსაწინააღმდეგო იარაღის სისტემების შემუშავებისა და იმ ღონისძიებების გამო, რომლებიც ხორციელდება კოსმოსური ბაზების ელემენტებიანი რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შესაქმნელად.

დისკუსიის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ უაღრესად საჭიროა კოსმოსში გამალებული შეიარაღების თავიდან აცილებისათვის გამიზნულ ეფექტიან მორიგებათა მიღწევა. ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მშვიდობიანი მიზნებით კოსმოსური სივრცის გამოყენების კომიტეტმა, რომლის საქმიანობაც ხელს უწყობს იმას, რომ შეკავნარჩუნოთ მშვიდობიანი, ყოველგვარი იარაღისაგან თავისუფალი კოსმოსი, აღნიშნა ბულგარეთის წარმომადგენელმა ი. კრასტევნიკოვმა.

მოვიგერიოთ მტრული კამპანია

საზოგადოებრიობა საგარეო რეაქციის ხრიკების წინააღმდეგ

დელი. ინდოელმა ხალხმა საკადრისი პასუხი უნდა გასცეს მტრულ კამპანიას, რომელიც დასავლეთში გაიღვიძა რესპუბლიკის მთავრობის წინააღმდეგ, ინდოეთის სუვერენიტეტისა და უშიშროებისათვის ძირის გამოსათხრელად — ასეთი მოწოდებით მიმართეს ქვეყნის საზოგადოებრიობას ინდოეთის თვალსაჩინო სახელმწიფო და პოლიტიკურმა მოღვაწეებმა აქ გამართულ მასობრივ მიტინგზე გამოსვლისას, რომელიც მოეწყო სრულიად ინდოეთის განთავისუფლებისათვის მებრძოლთა ორგანიზაციისა და სხვა მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინიციატივით.

მიტინგის მონაწილეებს წერილი გამოუგზავნა ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა რ. განდიმ. „ადგანარა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გზას, ახალგაზრდა საბელმწიფოები იძულებული არიან თავიანთი პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობა დაიცვან თავდასხმებისა და ძალადობისაგან, — ნათქვამია წერილში. — ინდოეთი მუდამ იყო ამ ძალების ხრიკების ობიექტი იმის გამო, რომ მტკიცედ ადგას სამხედრო ალიანსებისა და ეკონომიკური დისკრიმინაციის წინააღმდეგ მიმართულ კურსს.

ინდოელი ხალხის თავისუფლებას საფრთხე შეექმნა ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტებისა და საერთაშორისო რეაქციის საშიში ხრიკების შედეგად, რომელთა უსუსურ გულისწყრომას იწვევს ეკონომიკის აღმავლობასა. და სოციალურ განვითარებაში რესპუბლიკის შთამბეჭდავი წარმატებები, განაცხადა მიტინგზე გამოსვლისას მრეწველობის სამინისტროს სახელმწიფო სექტორის საწარმოთა სახელმწიფო მინისტრმა კ. კ. ტივარიმ. ბოლო რამდენიმე თვეში დასავლეთის სახელმწიფოთა ცდები, შეარყიონ ინდოეთში მდგომარეობა, მნიშვნელოვნად გააქტიურდა. რესპუბლიკის შესასუსტებლად მის საზღვრებზე აფეთქებენ დაძაბულობას, აძლიერებენ ინდოეთის ოკეანის აუზში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ყოფნას, ეწევიან პაკისტანის მასირებულ მილიტარიზაციას და საკუთარი ბირთვული იარაღის შექმნისათვის აქეზებენ მას. ინდოეთის წინააღმდეგ ღვარძლიანი კამპანიის ინიციატორები გახდნენ შეერთებული შტატების მმართველი წრეები, რომლებსაც არ სურთ შეურიგდნენ იმას, რომ ინდოეთის საგარეო პოლიტიკა არ შეესაბამება მათ გლობალურ მილიტარისტულ სტრატეგიას, ხელს უშლის სუვერენული მოუმხრობელი სახელმწიფოების მიმართ დიქტატისა და შანტაჟის კურსს.

რევაზ დვალიშვილი



რეპუბლიკის პრესამ, ეურნალისტურმა კორპუსმა დიდი დანაკლისი განიცადეს — 59 წლისა გარდაიცვალა „ბაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქტორი, რეპუბლიკის დამსახურებული ეურნალისტი რევაზ ვალერიანის ძე დვალიშვილი. ქართულმა საბჭოთა ეურნალისტიკამ დაკარგა ნიჭიერებით და შემოქმედებით გამორჩეული ოსტატი, კომუნისტი პუბლიცისტი და მოღვაწე.

რ. ვ. დვალიშვილი დაიბადა 1928 წელს ქ. ქუთაისში. 1950 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. უმაღლესი იურიდიული განათლების მიღების შემდეგ ეურნალისტიკა გახდა მისი მთავარი საქმე. მუშაობდა საქალაქოში, „ნორჩი ლენინელის“ და „თბილისის“ რედაქციებში. დაამთავრა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლა.

წლების მანძილზე მუშაობდა ბაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში და საქართველოს ტელევიზიაში. ამ შემოქმედებითს კოლექტივებში გაიშალა მისი მრავალმხრივი და განსაკუთრებული ნიჭი, გამოჩნდა უნიკალური ალღო, გამოკვეთილი ხელწერა, პარტიული და სახელმწიფოებრივი თვალთახედვა. მისი შრომისმოყვარეობა და პროდუქტიულობა მისაბაძი იყო კოლეგებისათვის. იგი მალალპროფესიულად იღვწოდა სხვადასხვა ეურნალისტურ ჟანრში, მაგრამ, გამორჩეულად — ფელეტონში. თანამედროვე ქართულ ეურნალისტიკაში იგი ამ ჟანრის ერთ-ერთი უპირველესი ოსტატი იყო, შეუპოვრად, დაჟინებით ებრძოდა ჩვენს ცხოვრებაში არსებულ ნეგატიურ მოვლენებსა და მანკიერებებს და, როგორც ბეშმარიტმა პარტიულმა, ეურნალისტმა, მრავალგზის დაადასტურა თავისი დიდი მოკალაქეობრივი სულისკვეთება, პრინციპულობა და გაბედულება. იგი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის აქტიური მებრძოლი იყო.

ამ რამდენიმე თვის წინ რ. დვალიშვილი სათავეში ჩაუდგა გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციას. მისი ხელმძღვანელობით რედაქციაში სასიკეთო ძვრები მოხდა, გაზეთმა მოკლე დროში წამოწია პრობლემები, რომლებიც აფერხებენ განათლების სისტემაში მიმდინარე გარდაქმნისა და განახლების პროცესს, გარს შემოიკრიბა ავტორები, რომელთა ნოვატორული სულისკვეთებით აღსავსე პუბლიკაციებმა იერი უცვალა გაზეთს, გახადა იგი უფრო შინაარსიანი და მრავალფეროვანი.

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს, დოცენტ რ. დვალიშვილს გარკვეული ღვაწლი მიუძღვის ეურნალისტიკის მეცნიერულ კვლევა-ძიებაში. იგი საქართველოში პრესისა და ტელევიზიის სოციოლოგიის შესწავლისა და დანერგვის ერთ-ერთი პიონერი იყო. წიგნებად გამოიცა მისი რამდენიმე ნაშრომი. საინტერესო მუშაობას ეწეოდა იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეურნალისტიკის ფაკულტეტზე. ბევრმა სტუდენტმა და ახალგაზრდა ეურნალისტმა იგრძნო მისი, როგორც დამრიგებლისა და აღმზრდელის გონიერება, გულის სითბო და მზრუნველობა. მისი ადამიანური თვისებები — გულწრფელობა, დედბუნოვნება, თავმდაბლობა, შეხამებული საქმისა და პროფესიული პრინციპების ერთგულებასთან, პირდაპირობასთან, იდეურობასთან, უალრესი პატივისცემით განაწყობდა ყველას, ვინც მასთან იყო დაკავშირებული.

მკითხველთა ფართო წრეებში დიდად პოპულარული ეურნალისტი ღირსეულად იყო აღიარებული და დაფასებული რეპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მიერ. მას მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სსრ დამსახურებული ეურნალისტის წოდება, დაჯილდოებული იყო სპეციალური სიგელებითა და დიპლომებით, იყო ეურნალისტური კონკურსების ლაურეატი, მათ შორის სსრ კავშირის ეურნალისტთა კავშირის პრემიის მფლობელი, არჩეული იყო საქართველოს სსრ ეურნალისტთა კავშირის გამგეობის წევრად.

კომუნისტი ეურნალისტის, ღირსეული მოკალაქის, ახალგაზრდობის შესანიშნავი აღმზრდელის, სპეციალი პიროვნების რევაზ დვალიშვილის სახელი დიდხანს ეხსოვება მკითხველებს, კოლეგებს, მთელ ჩვენს საზოგადოებრიობას.

ჯ. ი. პატიაშვილი, პ. გ. ბილაშვილი, ო. ე. ჩერაძეზია, გ. ნ. ენუქიძე, ზ. ა. ჩხეიძე, ვ. მ. სირაძე, ნ. ა. ფოფხაძე, გ. გ. ჩოგოვაძე, გ. ვ. ბედინეიშვილი, ნ. გ. ჩერაძეზიშვილი, ნ. შ. ვასაძე, დ. ი. ჩხეკვეიშვილი, ა. რ. სანეგლიძე, ნ. ვ. გურგენიძე, ნ. ხ. ამაღლობელი, ა. შ. იოსელიანი, ა. ა. ბლრციანი, თ. მ. ჯაფარლი, გ. მ. თალაკვაძე, ი. ი. მესხიშვილი, მ. კ. კობახიძე, რ. ჩ. ძერია, შ. ა. ამონაშვილი, ვ. ა. ბაიაძე, თ. კ. კვაჭანტირაძე, ნ. ხ. მგელაძე, მ. დ. მიქაძე, ნ. ა. ტაბიძე.

სიკეთით შეინიღბული სიხარბე...

ფელეტონი

ეს ფელეტონი რეზო დვალიშვილის უკანასკნელი ნამუშევარია, და თუმცა იგი მის საუკეთესო ნაწარმოებთა რიცხვს არ განეკუთვნება, მასში მაინც მისი სული გამოსჭვივის... ადამიანის სიმდაბლესა და უზნეობაზე მას აღუფფოთებლად ფიქრიც არ შეეძლო, მაგრამ მცირე სიკეთეს ერთი ასად დაგიფასებდათ, და უნარიც შესწევდა, თავის ეს დამოკიდებულება მოვლენებისადმი სიტყვით და კალმით ისე ნათლად და ემოციურად გამოეხატა, თავისი მღელვარება სხვისთვისაც გადაედო.

ყოველგვარი ავისა და მანკიერებისადმი შეურიგებლობა მისი ცხოვრებისეული პოზიცია იყო, პოზიცია კაცისა, რომელიც თავად იყო უანგარო, წმინდა, წრფელი და მართალი.

ამბობენ, მეშვიდასე ანგარიშზე თბილისის დინამოელებისაგან გადარიცხულ ფულზე ხობელებს უარი უთქვამთო: თქვენნე მოიხმარეთ, თქვენ ჩვენზე ნაკლებ ეყალწყაღებულნი როდი ხართო!...

მრავალწერტილით ავტორი სათქმელს მიანიშნებს ხოლმე, და მეც ვსარგებლობ ამ უფლებით.

ისედაც ნაიარევ, წყალდიდობა, დიდთოვლობა და ზვავიანობა-გადატანილ ქართველობას ტკივილს არ განუახლებ, ისევ „ჭირსა შიგან გამაგრებას“ გავიხსენებ და...

რა ერთსულოვნება, შემართება და სიმამაცე გამოიჩინა ჩვენმა ხალხმა, როცა ბუნებამ გვიმუხთლა და თითქმის ყველანაირი სტიქია დაგვატეხა თავს!..

ეჰ! მართლა ყველაფერი წერია „ვეფხისტყაოსანში!“ — ჩვენთვის ბიბლიაა, და მეტიც... „ოდეს კაცსა დაეჭირვოს, მაშინ უნდა ძმა და თვისიო“.

დიახ, რაღა წყალდიდობა და რაღა ოსმალობა!... აღდგა კიდეც მთელი საქართველო — ქედზე კაცი გამოვიდა (აბა, თუ სადმე გაგიგონიათ ერთსულოვნების ამგვარი ფორმა?), რამდენიც კაცია — იმდენი მეომარიან!

ასე იყო ოდითგან: ქართველი კაცი მზად იყო სამშობლოს დაძახილზე — მტერი იყო თუ სტიქია, ერთსულოვნად, მედგრად დასვედროდა — საქმეს არ ეღალატებინო!

თუმც, სამწუხაროდ, ამჯერად იმათზე გვიხდება საუბარი, ამ ავბედობისას გულის ჭიას რომ აპყენენ და პირადი გამორჩენის მიზნით სახელმწიფოს ასეთი გაუგონარი ულტიმატუმიც კი შესთავაზეს:

— „ვოლგას“ თუ მოგვცემთ, დახმარების ფონდში ფულს შევიტანთო!“.

ამგვარი განცხადებით თერთმეტმა კაცმა მიმართა მთავრობის კომისიას...

და ეს მაშინ, როცა მთელი ქვეყანა ფეხზე დადგა, როცა ყველა რაღაცით შველოდა დაზარალებულთ. ერთი ფოთელი ბიჭუნა სკოლიდან ფეხშიშველა მივიდა მინ — ფეხსაცმელი იქ დაეტოვებინა, სადაც ხალხი დასახმარებლად ნივთებს აგროვებდა.

ამ „ქველმოქმედმა“ გამომძალველებმა კი დრო ისელთეს, ნახეს გასაჭირში ჩავარდნილი სამშობლო და ვაჭრობა გამართეს მოყვასის ნიღბით!

თუმცა რაღა ნიღაბი, აშკარად გამოიჩინეს თავიანთი ანგარება და სულიერი სიმდაბლე. იქნებ ერთი ძველი ანდაზით ხელმძღვანელობდნენ: თუ სახლ-კარი გეწვის, ხელი მაინც მოიბანეო... დიდი გონებაგახსნილი მოაზროვნის ნათქვამი არ უნდა იყოს ეს ბრიყვული შეგონება.

მართალია, ცეცხლი და წყალი საინაადმდეგო ცნებებია, მაგრამ ამ წყალდიდობისას ზოგმა მართლაც „მოიბანო ხელი“.

მინაწერი, ანუ ამბავი, რომელიც მოგვითხრობს ქართველი კაცის დიდბუნებოვნობაზე, სინდისსა და ამაღლებაზე, საწინააღმდეგოდ იმისა, რაც ზემოთ წაიკითხეთ:

...ერთხელ, თურმე, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დავალებით, ნიკო ცხვედაძეს საჯარო ლექცია წაეკითხავს ჩრდილო კავკასიაში ქველმოქმედების მიზნით. იქ მცხოვრებ ქართველთ თაძესაც და მზად არის 4.500 მანეთი გადარიცხოს ამავე ანგარიშზე, თუ „ვოლგა“ გაზ 24-10-ს გამოუყოფენ.

მართალია, ალექსანდრე გიორგის ძე ალავერდაშვილი და სოგრატ იოსების ძე გაგლოევი ორივენი ლაგოდეხში ცხოვრობენ, მაგრამ მაინც ვერ ვიტყვით, ეს აზრი ცალ-ცალკე დაებადათ როგორც ჯოულსა და ლენინს — თუ ერთობლივად; საფიქრალია, რომ ცალ-ცალკე, რადგან ალავერდაშვილი „ვოლგას“ მოითხოვს და სანაცვლოდ 800 მანეთით დახმარებას გვპირდება, გაგლოევი კი სულ სხვა თამასუქს ეპოტინება: თუ სიმთვრალის გამო ჩამორთმეულ მართვის მოწმობას დავუბრუნებთ, წყალდიდობით დაზარალებულთა ფონდში 500 მანეთს გადავრიცხავო!

საინტერესოა, გაგლოევს რომ ხელახლა დართობის ნება მივცეთ, გაზრდის თუ არა შესაწირ თანხას?

იმედი იოსების ძე ჯღარკავა, რომელიც გეგეჭკორის რაიონის სოფელ ნაგვაზაში ცხოვრობს, 900 მანეთის შემოწირვას კისრულობს, თუ ავტომანქანა გაზ-2106-ს გამოვუყოფთ. ამასთან მკაცრად და კატეგორიულად მოითხოვს რაიონის მოსახლეობასაც ვაუწყოთ ეს ამბავი.

ამხანაგო იმედო! ერთი ასად გისრულებთ თხოვნას და რაიონის მოსახლეობას კი არა, მთელი საქართველოს ვამცნობთ თქვენს ქველმოქმედებას!

ზესტაფონის რაიონის სოფელ მეორე სვირის მცხოვრებმა ჭაბუკი ხვინჭიაშვილმა მაშინლა მოირგო ქველმოქმედის ნიღაბი, როცა „შავ ბაზარზე“ „ვოლგა“ 23 ათასი მანეთი დაუფასეს.

გარიგება კი ასე აქვს წარმოდგენილი: ხვინჭიაშვილს „ვოლგა“, სამაგიეროდ — 6.000 მანეთი!..

ეორელები პიმენ ეცადაშვილი და ნუგზარ თაყაძე შესაბამისად სამი და ორი ათას მანეთს დაგვპირდნენ.

აი, კარის მეზობლები, ახალქალაქის სოფელ ხანდოს მკვიდრი ორი აკოფიანი კი, რომლებიც ერთი სურვილით შეპყრობილნან, კონკრეტულ თანხას არ გვისახელებენ. ჩვენზე იყოსო, გვპირდებიან.

და ბოლოს, მინაგო მუმლაძეზეც უნდა მოგახსენოთ: პენსიონერია, „მოწოდებით“ კი პოეტი გახლავთ. იგი ასეთ საზრიან და მომგებიან წინადადებას გვთავაზობს: რომელიმე გამომცემლობას რიგგარეშე დავავალოთ მისი ლექსთა კრებულის გამოცემა. როგორც თვითონ გვატყობინებს, ლექსები დაბეჭდილია სხვადასხვა წიგნებსა თუ ეურნალ-გაზეთებში და თუ არ ეყო, ახლებიც მაქვსო! თუ დაიბეჭდება, ჰონორარი — 2800 მანეთი (საინტერესოა, როგორ

დიდი შესაწირი გაუღიათ ქართული უნივერსიტეტის მშენებლობისათვის.

გამომგზავრებისას, მატარებელში რომ ჩაჯდარა და ის იყო, მატარებელიც უნდა დაძრულიყო, ყვირილი მისწვდენია: ცხვედაძე! ცხვედაძე რომელიაო?!..

— მე გახლავართო, — ნიკოს ფანჯრიდან გადაუხედავს და მატარებელიც დაძრულა.

— გამომართვით! — ადევნებია

უცნობი, და რაღაც შეკვრა მიუწოდებია, — ამა და ამ ადგილზე დასახლებულ ქართველთა შესაწირავია უნივერსიტეტის მშენებლობისათვის, მადლობა ღმერთს, რომ მოგისწარითო!..

— ვინა ხართ და რა გვარის ბრძანდებითო? — უკითხავს ნიკოს.

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, მოგისწარით და ამ დიდ საქმეს არ გამოვრჩითო!

„ჯადოსნურ სიმთა კვლავ ისმის ჟღერა...“

...ბაზაფხულს აციდებს ფსკოვის მხარე და ზაფხულთან ერთად სტუმრებს მასპინძლობს — ივნისის პირველი კვირეული ხომ დიდი ხანია აქ პოეზიის ზეიმად იქცა. ოცდამეერთედ იმართება სოფელ მიხაილოვსკოეში პუშკინის პოეზიის საკავშირო დღესასწაული, რომელიც პოეტის შემოქმედების მრავალ თაყვანისმცემელს იზიდავს ნაკრძალად აღთქმულ კუთხეში — დიახ, ფსკოვის ოლქის პუშკინის ნაკრძალი ეროვნული სიამაყე, წმიდათაწმიდა ადგილი და კულტურის ძეგლია, რადგან აქ ყველაფერი დიდი პოეტის სახელთან და ხსოვნასთან არის დაკავშირებული.

პუშკინოგორიეს ერთგული და მზრუნველი ჰყავს სოციალისტური შრომის გმირის ს. გეიჩენკოს სახით. ყველა და ყველაფერი მზად არის საზეიმოდ მიხაილოვსკოეში, სადაც ათასობით სტუმარს ჭაბუკი პოეტის ქანდაკებაც ეღის. ლენინგრადელი მოქანდაკის გ. დოდონოვას ეს სკულპტურა თითქოსდა ედექით ეგებება ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულებს.

პოეტის მშობლიურ მხარეში კვლავ ისმის ჯადოსნურ სიმთა მწველი ბგერები — ეს პოეზიის ჭეშმარიტი დღესასწაულია, იქვეა გამოფენები, იმართება შეხვედრები და დისკუსიები, სახალხო სეირნობა, და ყოველივე ეს პუშკინის ნათელ ხსოვნას ეძღვნება.

სურათზე: ჭაბუკი პუშკინის ქანდაკება ნაკრძალში.

ი. ბოღინსკის ფოტო (საკადრის ფოტოქრონიკა).

ალექსანდრე პუშკინი ● ახალი თარგმანები

დეკემონი

მაშინ, როს ჩემთვის ყოფიერების
ახალი იყო ჭირიც და ლხენაც,
ქალთ თვალთა ნახვაც, მუხის ტევრების
გუგუნიც, ღამე ბულბულის სტვენაც;
როცა გრძნობებმა ამაღლებულმა,
თავისუფლებამ და სიყვარულმა
და ხელოვნებამ შთაგონებულმა
ამაჩოჩქოლეს გული ძალუმად, — —
იმედებით და სიამით სავსეს
რაღაც ნაღველი მომაწვა ერთად,
ბოროტი სული დამადგა თავზე
და დადიოდა მალულად ჩემთან.
ეს შეზვედრები უამო იყო:
სხვაგვარი მზერა, სხვაგვარ ღიმილთან,
და გესლიანი სიტყვები თითქოს
გულში შპამივით ცივად მიგლიდა.
გაგნების კილვა აროდეს ღლიდა,
არც მის ცთუნებას ერიდებოდა,
მშვენიერებას ოცნებად თვლიდა
და შთაგონება ეზიზღებოდა.
არა სჯეროდა მას სიყვარულის,
ცხოვრებას კბენდა, იდგა არაზე
და არც უსულოს და არც სულიერს,
არ დალოცავდა ამ ქვეყანაზე.

თარგმნა ქეთევან ჯუჯუკაშვილმა.

* * *

ქუჩის ხმაურში ხეტიალს ვიწყებ...
როს მე ხალხმრავალ ტაძარში შევალ,
შევხვდები ჭაბუკს, შლეგსა და ფიცხელს
და ყველგან — ერთი ოცნების ტყვე ვარ.
მე ასე ვამბობ: ეს წლებიც გავა...
ახლა ყველანი აქა ვართ, მაგრამ
მალე სიკვდილის თაღებქვეშ ჩავალთ,
უკვე ვიღაცის საათმა დაჰკრა...
ვფიქრობ: ის მუხა, შორით რომ მოჩანს,
ტყის პატრიარქი, ხანმოთეული —
ჩამოიტანეს ჩემს საწყალ დრო-ჟამს,
პაპის ხანიდან აქ მოღწეული.
მივუალერსებ პატარას ლხენით
და წამსვე გულში უნდა გავიცლო:
ურმავ, დამითმია ადგილი ჩემი,
მე უნდა დავკვნე, შენ იყავალო.
ყოველ წელიწადს ვაცილებ ღელვით
და არ მშორდება მწარე ფიქრები:
როდის დადგება ის ერთი წელი,
როცა ამქვეყნად აღარ ვიქნები.
სად მომეწევა სიკვდილი ბნელი,
გზად? ომში? ზღვაზე? — რა მაწევს ბედად?
ან იქნებ, აქვე რომ მოჩანს ველი,
ჩემს გაცივებულს მიიღებს ცხედარს.
თუ სად მოელის ხხეულს სავანე
ხრწნისთვის... ექნება აზრი — მცირედი,
მაგრამ, ო, მაინც, ძვირფას სამანებს
მე ყველა ალაგს ვამჯობინებდი.
დე, ნორჩ სიცოცხლის აგუგუნება
ესმოდეთ ჩემი აკლდამის ლოდებს
და გულგრილობით სავხე ბუნება
მარადიული მშვენებით კრთოდეს.

თარგმნა ელგუჯა გელენავამ.

მიმართვა ციმგირში

ძმანო! ციმბირის წიაღთა შორის,
ნუ გაგიტყდებათ ამაყი გული;
არ იკარგება ნაყოფი შრომის
და შემართება მაღალი სულის.

იმედი ტანჯულთ დობას გაგიწევთ,
თქვენს საპყრობილეს მოჰფენს სინათლეს,
შეგძენთ მხნეობას, ძალას, სიღალეს,
რათა ნანატრი ეამი დაგიდგეთ.

ძალა ერთობის და სიყვარულის
მოაღწევს მძიმე კატორღის მხარეს,
ვით ჯურღმულების ჩარაზულ კარებს
ჩემი ლექსების მგზნებარე სული.

ეამი განკურნავს მწვავე იარას,
მოსპობს ბორკილებს, ციხეთა მცველებს,
თავისუფლება გაგიხსნით ხელებს
და მოგაწვდიან ძმები იარაღს.

თარგმნა ზურაბ გაბუნიამ.

რადიოსპექტაკლი გვახსენებს ჩერნობილს

ველიდადზე მეტი (ვავიდ ჩერნობილის ტრაგედიიდან. საბჭოთა მწერლობამ თავისებურად აღიქვა და. შესანიშნავი ნაწარმოებებიც უძღვნა ჩერნობილს, მის თავდადებულ ადამიანებს.

ამ ნაწარმოებებიდან უთუოდ განსაკუთრებულია ვლადიმერ გუბარევის პიესა „სარკოფაგი“, განსაკუთრებულია იგი, უპირველესად, პუბლიცისტური ძღერადობის გამო, დოკუმენტური, ფაქტობრივი მასალების სიუჟეთი.

და აი, ახლახან საქართველოს რადიომ შემოგვთავაზა რადიოსპექტაკლი ვლადიმერ გუბარევის პიესის მიხედვით (მთარგმნელი ჯ. ბაქრაძე), რომელიც, უეჭველად, დიდ ემოციურ ზეგავლენას მოახდენდა მსმენელზე. არადა, ძნელი იყო ამის მიღწევა მარტო ხმის საშუალებით. დამდგმელი ჯგუფის (რეჟისორი ზურაბ კანდელაკი) სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ შეძლეს განწყობილების, ზუსტი ატმოსფეროს შექმნა, შესანიშნავად გამოიკვეთა პერსონაჟები, რაც მსახიობების გიზო სიხარულიძის, ნინა კვერენჩხილაძის, ედიშერ მაღალაშვილის, გიორგი გეგეჭკორის, თამარ სხირტლაძის, დავით სოკოლოვის, მუმბან ჯინორიას და სხვების უღავო დამსახურებაა. მათ ტელევიზიით განეცხადებული მაყურებელი ორი საათით რადიომიმღებებს „მიაჯაჭვეს“. ეს კი, რა თქმა უნდა, თემამაც განაპირობა. ჩერნობილი გვაფრთხილებს, თუ რა სიფხიზლე მართებთ ადამიანს ჩვენი პლანეტის გადასარჩენად. ყოველივე ეს შესანიშნავად გადმოგვცა რადიოსპექტაკლმა „სარკოფაგმა“.

მ. ჭანტურია.

ყაბალი

საქართველოს პირველობაზე

გუშინ დაიწყო საქართველოს ჩემპიონატი ჭადრაკში ვაჟთა შორის, რომლის ორი გამარჯვებული საკავშირო ჩემპიონატის მასპირივ ტურნირში მიიღებს მონაწილეობას.

წლისყრის შედეგები ასეთია: 1. ოსტატი გ. გიორგაძე (თბილისი), 2. ოსტატი მ. კრასენკოვი (ბათუმი), 3. ოსტატობის კანდიდატი ბ. ხეცურიანი (ქუთაისი), 4. ოსტატი ი. ეფიმოვი, 5. ოსტატობის კანდიდატი პ. გაფრინდაშვილი (ორივე — თბილისი), 6. ოსტატობის კანდიდატი დ. ჩაჩიბაია (ცხაკაია), 7. ოსტატი დ. გედეანიშვილი, 8. ოსტატი გ. ბაღათურიანი (ორივე — თბილისი), 9. ოსტატობის კანდიდატი გ. ტყებუჩავა (ცხაკაია), 10. ოსტატობის კანდიდატი ნ. მანგაძე (ქუთაისი), 11. ოსტატობის კანდიდატი თ. ტაბატაძე, 12. ოსტატი ლ. ჯანჯღავა, 13. საერთაშორისო ოსტატი ზ. სტურუა, 14. ოსტატობის კანდიდატი კ. შალამბერიძე (ოთხივე — თბილისი).

სტურნირო ორბიტა

კალათბურთი. საბერძნეთში გრძელდება ევროპის 25-ე ჩემპიონატი ვაჟთა გუნდებს შორის. ასპარეზობის მეორე დღეს ასეთი შედეგები აღინიშნა: „ა“ ჯგუფი. სსრ კავშირი-საფრანგეთი — 107:78 (55:37), ესპანეთი-რუმინეთი— 116:98 (70:51), საბერძნეთი-იუგოსლავია — 84:78 (42:49); „ბ“ ჯგუფი. იტალია-პოლონეთი — 99:85 (51:44), ჩოლანდია-ისრაელი — 61:60 (43:24), ჩეხოსლოვაკია-გფრ — 95:72 (48:31).

ორი ტურის შემდეგ „ა“ ჯგუფში 2-2 მოგება ჰქონდათ სსრ კავშირის, ესპანეთისა და საბერძნეთის კალათბურთელებს, „ბ“ ჯგუფში კი ზედიზედ 2 მოგება მხოლოდ იტალიელებს ჰქონდათ.

ველოსპორტი. ავსტრიის გზებზე დამთავრებულ მრავალდღიან რბოლაში გაიმარჯვა გორკელმა დმიტრი კონიშევმა. მთელი დისტანცია, რომლის სიგრძე 1050 კმ იყო, მან დაფარა 24 საათში, 51 წუთსა და 32 წამში. მეორე ადგილზე გამოვიდა ავსტრიელი ჰელმუტ ვექსელბერგერი (24:50.07), მესამეზე — კუიბიშეველი სერგი ესლამინი (24:49.13).

სასამართლო დარბაზიდან

დამნაშავე შორს ვერ წავა

რამ უნდა გააბოროტოს კაცი, რომ ადამიანი სასიკვდილოდ გაიმეტოს, მისი სიცოცხლე ხელყოს? კანონი მთელი სისასტიკით სჯის მკვლელს, რადგან არავის აქვს უფლება სხვა მოკლას.

გაოცდებით, ზოგჯერ ისეთ შემთხვევას წააწყდებით, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, ისინი როგორღაც იოლად იღებენ ხოლმე სხვისი მოკვლის ვადაწყვეტილებას. გაუგებარია, მაგალითად, თ. ჩაჩანიძის მიერ პ. კინწურაშვილის მკვლელობის მცდელობა.

ნაადალწლევს, ორ იანვარს დღისით ახალგაზრდები შეხვდნენ ერთმანეთს. მოქმედება ხდება ზესტაფონში, რუსთაველის ქუჩის დასაწყისში მდებარე სკვერთან. თენგიზ ჩაჩანიძე, 19 წლის ახალგაზრდა, ზესტაფონის ელექტროშენადნობთა ქარხნის ელექტროომფის მემანქანე, თავის მეგობარ ბაკურ კვანტრიშვილთან ერთად იდგა სკვერთან, როცა ნაცნობებმა — ირაკლი რაზმაძემ და პაატა კინწურაშვილმა ჩამოიარეს და მათ ჯგუფს შეუერთდნენ.

ჩაჩანიძემ კინწურაშვილს პაპიროსი მოსთხოვა. მან უარი უთხრა. ჯერ ახალი წელი მომილოცე და მერე მელაპარაკეო. პასუხში აშკარად წყენა იგრძნობოდა. ეს მცირე მიზეზი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ჩაჩანიძეს ჩხუბი აეტეხა. როცა მან ხელისკვრით ვერ დაიოკა თავისი ხულგნური ენინ, დანა ამოიღო და უმოწყალოდ ოთხჯერ ჩასცა გულმკერდის არეში „მოწინააღმდეგეს“. აი, ასე ადვილი ყოფილი ადამიანის მოკვლა. დროულმა სამედიცინო ჩარევამ კინწურაშვილი სიკვდილს გადაარჩინა, მაგრამ ჩაჩანიძემ ხომ იგი ძალზე ადვილად გაიმეტა? სწორედ ეს არის გასაოცარი.

თუმცა რა უნდა გაგიკვირდეს გამოუსწორებელი ხულგინისაგან. მას შარშანაც ჰქონდა დანაშაული ჩადენილი, რისთვისაც ზესტაფონის სანალხო სასამართლომ 4 წლის თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, მაგრამ პირობითად, 3 წლის საგამოცდო ვადით.

ერთი წელი ძლივს გავიდა და ახალი დანაშაული ჩაიდინა, რისთვისაც მიესაჯა 8 წლის თავისუფლების აღკვეთა, ამას დაემატა წინა სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი — თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით და საბოლოოდ თ. ჩაჩანიძეს სასჯელად დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა 12 წლის ვადით. მსჯავრდადებულს დაეკისრა აგრეთვე ზესტაფონის ცენტრალურ საავადმყოფოს სასარგებლოდ 201 მანეთი, რომელიც კინწურაშვილის მკურნალობას დასჭირდა.

ნ. ნუცუბიძე.

რედაქტორის მოადგილე
დ. იოსელიანი.

ახალი სეზონი — სარვეზებით

ის კეთილმოწყობის სამუშაოები. საჭირო ინვენტარით აღიჭურვა ჯანმრთელობის კერების საპაჟე მეურნეობები, საგრძნობლად გაუმჯობესდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ბევრ სამკურნალო-სადიაგნოზო კაბინეტს შეემატა თანამედროვე აპარატურა და მოწყობილობა. ამითვის, ვინც კურორტებზე უსაგზაროდ ჩამოდის, მკურნალობისა და დასვენების ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად გაგრასა და სოხუმში მოქმედებს სპეციალური სამეურნეო-ანგარიშებიანი ფირმები — „დასვენება“ და „სერვისი“.

ამავე დროს კურორტების ცალკეულ უბნებში, სამსახურებში ნაკლოვანებები და ხარვეზები ჯერ კიდევ ცოტა როდია.

მაგალითად, ავიღოთ კურორტი სოხუმი. თუ ამ ზონის ჯანმრთელობის კერები ძირითადად მომზადებული არიან, ამას ვერ ვიტყვით სოხუმის საკურორტო ფასიან პოლიკლინიკაზე, რომლის კოლექტივი ზამთარ-ზაფხულ ემსახურება არა მარტო ჩამოსული დამსვენებლების დიდ ნაკადს, არამედ ადგილობრივ მცხოვრებლებსაც. საკურორტო პოლიკლინიკის კოლექტივი შეიჭიზულია ოკიოდე წლის წინათ იჯარით აღებულ შენობაში, სადაც სივიწროვის გამო გაძნელებულია ავადმყოფთა ნორმალური მკურნალობა.

სავალალო მდგომარეობაშია პოლიკლინიკის საზღვაო წყალსამკურნალოს ტერიტორიაზე უხარისხოდ აშენებული დამატებითი ნაგებობა. ეს ობიექტი გასული წლის ბოლოს მშენებლებმა დიდი ვაი-ვაგლახით, სახარჯთაღრიცხვოტექნიკური დოკუმენტაციის უხეში დარღვევით, სათანადო კომისიის აქტის ხელმოუწერლად „ჩააბარეს“ საექსპლოატაციოდ. ამის შემდეგ პოლიკლინიკის კოლექტივი იძულებული გახდა საკუთარი ძალებით შეესრულებინა ამ უხეირო შენობის რემონტი, რათა გამოუვალი მდგომარეობის გამო მისი გამოყენება დროებით მაინც დაეწყოთ (?!).

პოლიკლინიკის კოლექტივს მუშაობაში სერიოზულ სიძნელეებს უქმნის ზღვის წყალსამკურნალოს დიდი ხნით მწყობრიდან გამოსვლა. ეს ობიექტი აფხაზკურორტსაბჭოს მითითებით შარშან ივლისიდან ოთხთვიან რემონტზე დაიყენეს. რემონტისა და საქვაბე მეურნეობის რეკონსტრუქციის სამუშაოების შესრულება აფხაზკურორტსაბჭოს სარემონტო-სამშენებლო კანტორას (უფროსი — ა. ღარჭკია) და მთრავ-სარემონტო-ტექნიკურ სახელოსნოს (უფროსი — ს. მულ-ოღლი) დაეკისრათ. მაგრამ აღნიშნული სამუშაოების შესრულება მათ გაჭიანურეს და როდის დამთავდება, დღესაც გაურკვეველია, რაც მოაგარაკე-ავადმყოფთა სამართლიან საყვედურებს იწვევს.

ასევე არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია საკურორტო პოლიკლინიკის მეორე სამკურნალო ბაზა — ბესლეთის ბალნეოლოგიური სამკურნალო. აქ თერმული წყლების გასათბობი საქვაბეები თითქმის მწყობრიდან გამოვიდა და ვერ ასრულებს დანიშნულებას, საჭიროებს დაუყოვნებლივ შეკეთებას. ასევე კეთილმოუწყობელია ბალნეოლოგიური სამკურნალოს ტერიტორია. სერიოზული სამუშაოებია შესასრულებელი აგრეთვე საკურორტო პოლიკლინიკის პლაჟის კეთილმოსაწყობად. ზემოაღნიშნული მტკივნეული საკითხების დაჩქარებით გადაჭრა და საკურორტო პოლიკლინიკის გაერთიანების ობიექტების ნორმალური მუშაობის პირობების უზრუნველყოფა აფხაზკურორტსაბჭოს გადაუდებელი ამოცანაა.

გაგრას ტყუილად როდი უწოდებენ კავკასიის მარგალიტს, ჯანმრთელობის ელვესორს. აქ საზაფხულო საკურორტო სეზონი უკვე დაიწყო. ამ პასუხსაგებ პერიოდს ძირითადად მომზადებული შეხვდა ქალაქ-კურორტი, რომლის შრომითი კოლექტივები ჩაბმული არიან სოციალისტურ შეჯიბრებაში დევიზით „გადავაქციოთ გაგრა სანმუშო ჯანმრთელობის კერად, მაღალი კულტურის ქალაქად“.

გალამაზებულ და კეთილმოწყობილ პალატებში იღებენ ამ დღეებში დამსვენებლებს სანატორიუმები „კავკასიონი“, „გრუზია“, ჩელუსკინელების სახელობისა, პანსიონატები „ჩაიკა“, „სკალა“, „ოლეკვარა“...

საზაფხულო სეზონისათვის მზადების საქმეში გაგრის კურორტების მართვის საბჭოს ინიციატივით გამოიყენეს ურთიერთობის ისეთი ფორმა, როგორიც არის საშიფო პრაქტიკული დახმარება — ჯანმრთელობის კერების რემონტისა და რეკონსტრუქციის სამაგიეროდ მათ გამოეყოფათ გარკვეული რაოდენობის საგზურები. ასე, მაგალითად, ჩელუსკინელების სახელობის სანატორიუმში საათანადო ურთიერთხელსაყრელი ხელშეკრულების გაფორმებით კარგად იმუშავეს გაერთიანება „როსტოვსოფლმანქანის“, მოსკოვის „საკთბოიზოლაციის“ და თბილისის საავიაციო ქარხნის მშენებლთა ბრიგადებმა.

საზაფხულო საკურორტო სეზონისათვის მზადება გაგრაში დაემთხვა საზოგადოებრივი კვების ტრესტის სისტემის თვითდაფინანსების მეთოდზე გადასვლას. ეს კი ამ კოლექტივს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს.

ვაჭრობის ახალ პირობებში მთავარია დიდი რენტაბელობა. მაგრამ რომელ რენტაბელობაზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც აქ სურსათით მომარაგების მთელი რიგი პრობლემებია გადასაჭრელი. სავაჭრო ობიექტების მოთხოვნილება ნაყინზე, გამაგრილებელ წყლებზე ნახევრადაც არ კმაყოფილდება. ასევე კუდდამარადები საზვაების ობიექტები ბოსტნეულითა და ხილით. ყოველთვის სათანადო ხარისხის რომდია აქ მიღებული ხორცისა და რძის ნაწარმიც. გაგრის საზვების ტრესტის მუშაკებმა ამას წინათ შეისწავლეს კურორტ სოჭის გამოცდილება საყოლმეურნეო ბაზრებზე სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის ორგანიზაციის საქმეში და საქალაქო საბჭოს აღმასკომში წამოაყენეს წინადადება ამ სიახლის დანერგვის შესაძლებლობის თაობაზე. მართალია, ეს სიახლე მთლიანად ვერ გადაჭრის ამ პრობლემას, მაგრამ ვაჭრობის მუშაკებს შესაძლებლობას მისცემს უკეთ დაკმაყოფილონ დამსვენებელთა მოთხოვნილება. მაგრამ ეს სიახლე ჯერჯერობით აქ არ ინერგება.

ისევე, როგორც გასულ წლებში, კურორტების საზოგადოებრივი კვების ქსელში საჭიროა ადგილების ნაკლებობა. აქ ზაფხულის ცხარე დღეებში დამატებით სულ ცოტა 1500 ადგილი მაინც არის საჭირო. მაგრამ ვერა და ვერ გადაწყდა ეს პრობლემა.

დიდ დახმარებას გაუწევდა კურორტს დამსვენებელთა მომსახურების პოპულარული ფორმა — დატარებითი ვაჭრობა. მაგალითად, შარშან ზაფხულის სეზონში აქ დამსვენებლებს მომსახურებას უწევდა 30 ასეთი მოძრავი წერტი. მაგრამ განა ეს საკმარისია ზღვისპირა 11-კილომეტრიან პლაჟზე საკურორტო სეზონისათვის?

ყოველწლიურად ისმება საკითხი რკინიგზისა და სამოქალაქო ავიაციის ხელმძღვანელობის. წინაშე დამსვენებელთა სამგზავრო ბილეთებით უზრუნველყოფაში შეფერხებების აღმოფხვრის თაობაზე, მაგრამ მდგომარეობა ჯერჯერობით უცვლელია. გაგრის, გუდაუთის, ახალი ათონის და სოხუმის ჯანმრთელობის კერების და უსაზღვროდ ჩამოსული დამსვენებლების სამგზავრო ბილეთებით მომარაგება კვლავ გაძნელებულია, რაც მათს სამართლიან უკმაყოფილებას და საყვედურებს იწვევს.

საზაფხულო საკურორტო სეზონში წვრილმანი არ არსებობს, საჭიროა საკურორტო ინდუსტრიის ყველა სამსახური გამართულად, ზუსტად მუშაობდეს, როგორც შეეფერება „დაჩქარებისა და გარდაქმნის თანამედროვე მოთხოვნებს.

ი. გოგბეჩია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ადამიანი, გზა, ტრანსპორტი

ისევ ლოთებზე, როდემდე?!

ბევრჯერ ითქვა და დაიწერა, მაგრამ ჩვენს გზებსა და მაგისტრალებზე არ წყდება ლოთი მძღოლების თარეში. საინტერესოა, კიდევ რამდენჯერ უნდა ითქვას — სამთვრალე საჭესთან ბოროტი დანაშაულია, რომ ეს ჭეშმარიტება ზოგიერთი ლოთი მძღოლის შეგნებამდე მივიდეს, ნუთუ არ უნდა მოეღოს ბოლო ამ უმსგავსებას? ვინ არიან ისინი, ვინც თავიანთი თავხედური საქციელით ჩირქს სცხებენ ჩვენი ქალაქის, ჩვენი ერის კულტურას, არაფერს, არავის რომ არ ერიდებიან და უხეშად არღვევენ მოძრაობის წესებს, უფრო მეტიც, ადამიანების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს ემუქრებიან. დაგისახელებთ ზოგიერთი იმთგანს, ვინც მთვრალი მართავდა ავტომანქანებს წლეულს მაისში.

ყრუ-მუნჯთა საზოგადოების წარმოების ხარაზი გიორგი ხოტენაშვილი, მეორე მსუბუქი ტაქსების საწარმოს მძღოლი ვახტანგ ქარსელაძე, ტროლეიბუსის მძღოლი დავით მაჭავარიანი, ნავთობპროდუქტების სახელმწიფო კომიტეტის უფროსი ინჟინერი ზაურ გელეშაშვილი, დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მუშა გრიგოლ ტერტეროვი, „თბილისმრეწვმშენის“ მე-3 სამშენებლო-სარემონტო ტრესტის თანამშრომელი ვასილ კაზაკოვი, ვარკეთილის მე-2 მიკრორაიონში მდებარე საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის თანამშრომელი თური შახულოვი, მესამე ავტოსატრანსპორტო საწარმოს თანამშრომელი მიხეილ ადლოიანი, თეთრიწყაროელები ვეფხია ზაკუტოვი და თეფორე ალექსანოვი, თბილისელი უმუშევარი გიორგი ონეზაშვილი.

ჩვენდა სავალალოდ, სია კიდევ უფრო გრძელია, რომელიც ერთ საგაზეთო წერილში ვერ მოთავსდება, მაგრამ, ვფიქრობთ, დასკვნების გამოსატანად საკმარისია.

აღარ უნდა მოეღოს ბოლო ასეთ უგუნურებას, ქეიფის შემდეგ საჭესთან ჯდომას? ნუთუ არ კმარა აქამდე ასე უაზროდ, ბრმა შემთხვევების შედეგად დაღუპული ადამიანების სიცოცხლე? ლოთი მძღოლები უბრალო დამრღვევნი კი არა, პოტენციური მკვლელები არიან, რომლებიც ადვილად პოულობენ საერთო ენას ზოგიერთ უღირს ინსპექტორთან. სხვანაირად ვერ აგიხსნია, ამ კატეგორიის ხალხმა ჭკუა აქამდე რატომ ვერ ისწავლა! კანონი ყველასთვის ერთი უნდა იყოს. ნებისმიერ დამრღვევს არაფრის და არავის იმედი რომ არ ექნება, ის ვეღარ გაბედავს წესრიგის დარღვევას.

ჩვენ კვლავაც განვაგრძობთ ბრძოლას ბახუსის მოყვარულთა წინააღმდეგ, ყველას უნდა ახსოვდეს, რომ არავის არ შერჩება სიმთვრალეში მანქანის მართვის ერთი შემთხვევაც კი.

გივი ოდიშარია,
ქ. თბილისის სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის უფროსის მოადგილე, მილიციის მაიორი.

საქართველოს ტელევიზიის ერთი ქვირის პროგრამა

ცისფერ ეკრანზე

ორშაბათი, 8 ივნისი

პირველი პროგრამა. 8.30 — „ვრემია“. 9.05 — საფეხბურთო მიმოხილვა (მ.). 9.55 — მოამბე. 10.30 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა“ — მხატვრული ფილმი „ზესაზღვრე ძალი — „ალი“. 15.05 — საინფორმაციო გამოშვება. 15.20 — ეკონომიკის კურსი. 15.50 — დოკუმენტური ფილმი „რადიოაქტიური მოწამლვის შედეგების ლიკვიდაცია“. 16.20 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.30 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.40 — საბჭოური ცხოვრების წესი. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „საქმეს — დრო“. 17.05 — განცხადებები. 17.10 — სატელევიზიო პროგრამა „ახალგაზრდობა“ (განმეორებით). 18.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მოძრაობის უსაფრთხოება“. 18.10 — პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის. „ცვლა“. 18.25 — თეატრალური აფიშა. 18.55 — „ჩვენი სადისკუსიო კლუბი“. 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — მოამბე. 20.35 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე. 20.55 — „უჩვენებს სატელევიზიო თეატრი“ — სატელევიზიო სპექტაკლი „ტანტრე ბიჭის ოჯახი“ (საქართველოს ტელევიზიის დადგმა). 22.00 — „ვრემია“, 22.40 — ვერა დავიდოვას საიუბილეო სალამო.

მეორე პროგრამა. 15.35 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ვარძია“. 16.05 — განცხადებები. 16.10 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისთვის — მხატვრული ფილმი „წითელი ზარები“. ფილმი II. 18.20 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „შორეული — ახლობელი“.

სამშაბათი, 9 ივნისი

პირველი პროგრამა. 8.30 — „ვრემია“. 9.05 — მოამბე. 9.40 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა“. — მხატვრული ფილმი „ოქროს რაშიანი მხედარი“. 10.55 — „დიალოგი პოლიტიკურ თემაზე“ (განმეორებით). 15.05 — საინფორმაციო გამოშვება. 15.20 — ქართული ენის ტელეკურსი. 15.50 — კინოჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“. 16.00 — აბიტურიენტთათვის. ქიმია. 16.30 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.40 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.50 — შევისწავლოთ ინგლისური ენა. 17.20 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ეს ჩემი სამღერაა“. 17.35 — „ხელოვნების ლექტორიუმი“ (განმეორებით). 18.10 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისთვის. სატელევიზიო მუსიკალური ფილმების ფესტივალი. სიმღერა-კონცერტი „მთავარი დირიჟორი ერი კლოსი“ (ესტონეთის ტელევიზიის ნაწარმოები). 18.45 — „ჩვენი ბაღი“ (კოლექტიური მებაღეობის წევრთა დასახმარებლად). 19.05 — განცხადებები. 19.10 — „ამაგდარი“. შოთა

ბეგილი. 19.45 — — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — მოამბე. 20.35 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 20.55 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. „მეგობრების გამოცდილება“ (მეორეული ნედლეულის გამოყენების გამოცდილება ბელორუსიის საწარმოებში). 21.25 — „ადამიანი და კანონი“. „სიკვდილით მოვაჭრენი“ (განმეორებით). 21.55 — ჩვენი საუკუნე გიცავს უახლესი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — პირველად ჩვენს ეკრანზე. მხატვრული ფილმი „გვიანი ალუბლები“. 0.20 — ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში. რეპორტაჟი საბერძნეთიდან (მ.).

მეორე პროგრამა. 15.35 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ცხოველები უპასუხებენ“. 17.00 — განცხადებები. 17.05 — მხატვრული ფილმი „წვეთი“. 18.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ფოთის ექსპერიმენტი“.

ოთხშაბათი, 10 ივნისი

პირველი პროგრამა. 8.30 — „ვრემია“. 9.05 — მოამბე. 9.40 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა“ — მხატვრული ფილმი „ოცი დღე უომოდ“. 17.45 — სიფხიზლე ცხოვრების ნორმაა. 18.20 — „ცისარტყელა“. ნიკოლოზ გედას კონცერტებზე“. (ფვეცია). 18.55 — ცოცხალი ბუნება. 19.55 — მულტფილმები. 20.35 — მხატვრული ფილმი „მემკვიდრეობა“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — კვირაძალს. „ვწერთ მემუარებს“. 0.35 — ახალი ამბები. 0.50 — კალათბურთი. საბერძნეთისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდები.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20 — პიონერია. კინოჟურნალი. 9.30. — რიტმული ტანვარჯიში. 10.00 — დილის ფოსტა. 10.30 — ჩვენი ბაღი. 11.00 — „ძეგლი“. ეძღვნება ა. ს. პუშკინს. ფილმ-კონცერტი. 11.50 — სუბტიტრებიანი მხატვრული ფილმი „ვარსკვლავებისაკენ“. I და II სერია. 14.10 — ვ. კიქტა. ბალეტი „დუბროვსკი“. 15.25 — მულტფილმი. 15.45 — ლიტერატურული კომპოზიცია ა. ს. პუშკინის ნაწარმოებთა მიხედვით. 16.25 — ჩვენი მწვანე მეგობარი. ტყის დაცვის შესახებ. 17.10 — დოკუმენტური ტელეფილმი „პუშკინი და პუშჩინი“. 18.20 — ფეხბურთი. მოსკოვის „ტორპედო“ — მინსკის „დინამო“. მე-2 ტაიმი. 19.00 — ა. ს. პუშკინის ლექსებზე შექმნილ რომანსებს ასრულებს სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. დნიშჩვი. 19.50 — კალათბურთი. იუგოსლავიისა და ესპანეთის ნაკრები გუნდები. 20.40 — რეკლამა. 20.45 — ჩოგბურთის გაკვეთილი. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარბო!“. 21.15 — ჯანმრთელობა. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — მძღეოსნობა. ძმები ზნამენსკების ხსოვნის აღსანიშნავი საერთაშორისო შეჯიბრება. 23.25 — იტალიური მხატვრული ტელეფილმი „ილა, სათვალთვალო პუნქტი“. I და II სერია. შესვენებისას — 0.20 — ახალი ამბები.

ოლიმპიადა

6 ივნისი

პირველი პროგრამა. 8.00 — დილის ვარჯიში, მულტფილმი. მუსიკა. 8.30 — „ვრემია“. 9.05 — უკრავს სასულე ორკესტრი. 9.40 — დოკუმენტური ტელეფილმი. 10.10 — ა. ს. პუშკინი. „ბრონჯაოს მხედარი“. 18.15 — ალ 20.30 — ახალი ამბები. 15.50 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. მხატვრული ფილმი „ოცი დღე უომოდ“. 17.45 — სიფხიზლე ცხოვრების ნორმაა. 18.20 — „ცისარტყელა“. ნიკოლოზ გედას კონცერტებზე“. (ფვეცია). 18.55 — ცოცხალი ბუნება. 19.55 — მულტფილმები. 20.35 — მხატვრული ფილმი „მემკვიდრეობა“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — კვირაძალს. „ვწერთ მემუარებს“. 0.35 — ახალი ამბები. 0.50 — კალათბურთი. საბერძნეთისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდები.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20 — პიონერია. კინოჟურნალი. 9.30. — რიტმული ტანვარჯიში. 10.00 — დილის ფოსტა. 10.30 — ჩვენი ბაღი. 11.00 — „ძეგლი“. ეძღვნება ა. ს. პუშკინს. ფ